ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

**ხათუნა ხოფერია: „კვირიკაშვილს ასე უბრალოდ ვერავინ გადააყენებს“** გვ.4



**15 დეკემბრიდან**




რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ხუთშაბათი, 21 დეკემბერი, 2017 №302 (7537) ფასი: 50 თეთრი

# გიორგი კვირიკაშვილმა ნიკა მელიას სახალხოდ აგინა



გვ.2

„შე ნაბიჭ....რო, შენ მოგიტ...ავ კეთილებს!“



ნიკა მელია: „კვირიკაშვილი პასუხს აგებს ძალიან მკაცრად!“



## „ახლა პარლამენტში გამოაჩინეს კვირიკაშვილის წინააღმდეგ ბიჭებმა კიჭები“



გვ.3

გიგლა ბარამიძე: „ივანიშვილი შესაძლოა სააკაშვილს გაურიგდეს“

## ლევან ჩაჩუა: „ბიზნესწილებში ნაციონალების ადგილი „ოცნებამ“ დაიკავა“



გვ.4

**სამართალი** გვ.7



**გიორგი გახარია:** „ყველაზე მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ როგორ მოხვდნენ ახმედ ჩატაევი და მისი თანამზრახველები საქართველოში“



ოზურგეთის საჯარო სკოლის მასწავლებელს ძალადობაში ადანაშაულებენ



სისხლიანი გარჩევა „თავისუფლებაზე“ — მოზარდის დაჭრაში ბრალდებულიც არასრულწლოვანია

შს სამინისტრომ „საქართველოს ბანკის“ ვარკეთილის ფილიალის დაყაჩაღების ფაქტზე ორი პირი დააკავა

**ეკონომიკა** გვ.6

**დავით სერგეენკო:** „სოციალური დახმარების სისტემა მოსახლეობის სოციალურ საჭიროებებს ვერ აკმაყოფილებს“





**დიმიტრი ქუმსიშვილი:** „საქართველო უნდა გახდეს ჰაბი, სადაც მოხდება ელექტროენერგიით ვაჭრობა“



ეროვნული ბანკი მოქალაქეებს კრიპტოვალუტების გამოყენებისას სიფრთხილის გამოჩენას ურჩევს

ISSN 1987-9385

**2** თორნიკე შარაშენიძე: „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი კვირიკაშვილი იქნება“

**5** ლელა ჩახვაძე: „სურსათის უვნებლობის სამსახურმა პოლიტიკური ნიშნით გამათავისუფლა“

**6** თბილისში სამარშრუტო ტაქსები 14 ქუჩაზე მხოლოდ გაჩერებებზე გააჩერებენ

# გიორგი კვირიკაშვილმა ნიკა მელიას სახალხოდ აგინა

შორენა მარსაგიშვილი

მთავრობის მეთაურის წინააღმდეგ მიმართული კვირეული, გუშინ, 20 დეკემბერს, პარლამენტში კეთილების გინებით და გაწევ-გამოწევით დამთავრდა. ყოველთვის მშვიდი და გაწონასწორებული გიორგი კვირიკაშვილი ნაციონალებმა ისე გამოიყვანეს წყობილებიდან, რომ მან ნიკა მელიას კეთილების მიმართ უცენზურო ზმნები იხმარა.

პრემიერ-მინისტრი და მთავრობის წევრები საკანონმდებლო ორგანოში ფრაქციებს ხვდებოდნენ. დაძაბულობის გარეშე არც „ევროპულ საქართველოსთან“ გამართულ შეხვედრას ჩაუვლია.

ოპოზიცია აშკარად ცდილობდა პრემიერის წყობილებიდან გამოყვანას. მისგან დაჟინებით ითხოვდნენ, მომღერალ გიორგი გაჩეჩილაძესთან არსებულ დაპირისპირებაზე გაეკეთებინა კომენტარი – ერთი კვირის წინ უცნობმა განაცხადა, რომ კვირიკაშვილი ჩაწყობილ ტენდერებშია გარეული.

გაწონასწორებული კვირიკაშვილის წყობილებიდან გამოყვანა ყველაზე კარგად ნიკა მელიას გამოუვიდა. საპარლამენტო მოსმენის დროს ნიკა მელიამ პრემიერს უთხრა, რომ სამარცხვინოა, როდესაც პრემიერმინისტრობის კანდიდატი ნდობის გამოცხადებისთვის კანონმდებლებთან მიდის, რეალურად კი უკვე არჩეულია მისი შემცვლელი.

– ბატონო გიორგი, უხერხულია, როგორ ეხებით მანდატურებს მას შემდეგ, რაც სკოლაში ბავშვებმა ერთმანეთი დახოცეს იმიტომ, რომ თქვენ ხართ უუნარო. არც პროფესიონალი ხართ, არც კვალიფიკაცია გაქვთ. ქვეყანა რა მდგომარეობაში ჩააგდეთ და კიდევ ბედავთ და ხმას იღებთ. მოხვედით აქ, პარლამენტარებისგან ნდობის მიღებას ითხოვთ და იმის კი არ გრცხვენიათ, რომ სხვა ადამიანი ივანიშვილს შერჩეული ჰყავს თქვენს შემცვლელად. ვითომ პრემიერ-მინისტრი ხართ, არც არაფერს გეკითხებოდნენ და არც შეგეკითხებიან, – განაცხადა ნიკა მელიამ.



## „შე ნაბიჭ....რო, შენ მოგიტ...ავ კეთილებს!“

მან პრემიერობის შესაძლო შემცვლელიც დაასახელა და თქვა, რომ ეს გიორგი გახარიაა.

ამ თემაზე გახარია მთელი დღის მანძილზე აკეთებდა კომენტარებს და ირწმუნებოდა, ჩემი გაპრემიერება ზღაპარიაო.

აზარტში შესულ მელიას კვირიკაშვილმა ზრდილობისკენ რამდენჯერმე მოუწოდა.

– მე არ ვაკადრებ იმ ადამიანებს, ვინც ჩვენ გვიყურებს, ის ვაკადრო, რასაც თქვენ კადრულობთ ახლა, – მიმართა პრემიერმა დეპუტატს.

ამაზე მელიამ ასე უპასუხა:

– სირცხვილია, რომ დღეს თქვენ ხართ პრემიერი.

ამაზე კვირიკაშვილის პასუხი ასეთი იყო:

– მადლობა ღმერთს, რომ მხოლოდ 3 კაცი ხართ პარლამენტში წარმოდგენილი.

ამის შემდეგ პრემიერი წამოდგა და მთავრობის წევრებთან ერთად სხდომა დატოვა. მელია კიდევ უფრო გაცეცხლდა და პრემიერს უნამუსო და უუნარო კაცი უწოდა.

ამან კვირიკაშვილი წყობილებიდან გამოიყვანა და ის დეპუტატს გაექაჩა. მათ შორის დაცვა ჩადგა.

## ნიკა მელია: „კვირიკაშვილი პასუხს აგებს ძალიან მკაცრად!“

ამან მდგომარეობა ვერ განმუხტა. პრემიერი ისეთი გამწარებული იყო, რომ მელიას კეთილებში გაინავარდა.

– ნაბიჭ....რო, შენ მოგი....ავ კეთილებს, – ყვიროდა მთავრობის მეთაური.

მისი ასეთი რეაქცია ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მთავრობის წევრები გაოგნებული სახეებით შეჰყურებდნენ ყოველთვის მშვიდ კვირიკაშვილს.

შოკიდან ყველაზე ადრე კეთილებნაგინები მელია გამოვიდა.

– როგორც ძველი ბიჭი, ისე „იქაჩები“. შენ ხარ უნამუსო ადამიანი, – აბღავლდა ნაციონალი დეპუტატი.

ამის შემდეგ მთავრობამ ნაციონალები დატოვა და პატრიოტთა ალიანსის ფრაქციასთან შეხვედრაზე გადაინაცვლა.

აქ პრემიერმა მომხდარი ინციდენტის გამო საზოგადოებას ბოდიში მოუხადა.

– მოკლე განცხადებას გავაკეთებ. იქამდე, ვიდრე ჩვენ ვიქნებით დეპუტატები, თუ მთავრობის წევრები, თუნდაც პრემიერ-მინისტრი, ჩვენ ყველანი ვართ ადამიანები და ჩვენ ჩვენი ღირსება გაგვაჩნია. საზოგადოებას მინდა ბოდიში მოვუხადო ჩემი ზედმეტი ემოციებისთვის, მაგრამ სამწუხაროდ, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა, ყველას არ ეხება ეს, შეძლო ჩემი მდგომარეობიდან გამოყვანა და ეს არ იყო კარგი საყურებელი. თუმცა კიდევ ერთხელ ვამბობ, რა თანამდებობაზეც არ უნდა ვიყოთ, ჯერ ჩვენი ღირსების დაცვა გვავალია და მერე ყველაფერი დანარჩენი. ყველაფერი, რაც მანამდე ხდებოდა, იყო გამიზნული იმისთვის, რომ ეს მომხდარიყო და მე ამას ვერ დავუშვებდი, თუმცა კიდევ ერთხელ ვამბობ, ზედმეტი იყო ეს ემოციები, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

ინციდენტი დამოუკიდებელი მსაჯულის თვალით შეაფასა ალიანსის ერთ-ერთმა ლიდერმა ირმა ინაშვილმა.

– იმ საქართველოს რა ვუთხარი, ნიკა მელია და გიგა ბოკერია რომ „გაგიბლატავდება“.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი კვირიკაშვილი იქნება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, ჯიპას პროფესორი თორნიკე შარაშენიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო თორნიკე, „ქართულ ოცნებაში“ განვითარებული პოლიტიკური პროცესები რამდენად შესაძლებელია უკავშირდებოდეს საპრეზიდენტო არჩევნებს, იმას თუ ვინ იქნება მმართველი პარტიის კანდიდატი?***

– არ მგონია, რომ ეს ორი პროცესი ერთმანეთთან კავშირში იყოს. ეს უფრო არის შიდა ფინანსური გარჩევები, როგორც ჩანს, ფული ვერ გაიყვეს და ამას კავშირი არ აქვს პოლიტიკასთან.

***– გამოდის, ბიზნესინტერესები დაეჯახა ერთმანეთს? ამიტომ გვაქვს ეს სურათი?***

– სხვა მიზეზს ვერ ვხედავ. პოლიტიკური პროცესები ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ, პოლიტიკური პლატფორმები, ორიენტაციები დასავლური, პრორუსული თუ პროთურქული ხომ არ აღელვებთ მათ?!

***– უსუფაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ პოლიტიკის ადგილი აღარ დარჩა, ქვეყანაში პოლიტიკა არ კეთდება. ეთანხმებით?***

– დაიხ, მეც ასე მგონია. არ მგონია, რომ „ქართულ ოცნებაში“ ვინმემ გაბედოს პოლიტიკური მიზნით შექმნას თუნდაც საპარლამენტო ფრაქცია. დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაშის წამოწყება სრულებით გამორიცხული მგონია. ამიტომ მივიღეთ მხოლოდ ბიზნესინტერესების ლობირება. ერთი კაცის გარშემო ტრიალებს პოლიტიკა და ყველაფერი და იმ ერთი კაცის ნებართვის გარეშე ვერაფერს ვერავინ გაბედავს.

***– ივანიშვილს აინტერესებს პოლიტიკა, თუ ის ინდიფერენტულია პოლიტიკის მიმართ? თითქოს მისი გულგრილობა პოლიტიკის მიმართ თბილისის მერის წინასაარჩევნო კამპანიამ დაადასტურა.***



– რა თქმა უნდა, ის ინდიფერენტული რჩება ყოველდღიური, წვრილმანი პროცესების მიმართ, მაგრამ რეალური პოლიტიკა მას აინტერესებს და მის გარეშე არაფერიც არ ხდება. ამ პოლიტიკით ივანიშვილს არაფერი წაუგია.

***– გამოდის, ივანიშვილი დღემდე აკონტროლებს პოლიტიკურ პროცესებს ქვეყანაში?***

– მოდი, ასე ვთქვათ: ჩვენ ვიცით, რომ მისი კადრები არიან გახარია, გომელაური, კიდევ არაერთი და, რა თქმა უნდა, მისი კადრია კვირიკაშვილი. ამით ყველაფერი ნათქვამია. ბუნებრივია, რომ ივანიშვილი ყოველდღიურ მართვაში არ ერევა. ეს ნორმალურია, კარგიც არის, რომ არ ერევა, მაგრამ ის პროცესებს აკონტროლებს, პროცესები მისი კონტროლიდან არ გამოდის. ეს თითქმის შეუძლებელიცაა. პრობლემა ის არის, რომ ამ ადამიანებს, ვინც ჩამოვთვალე, ეშინიათ დამოუკიდებელი თამაშის.

***– კალაძესაც ეშინია დამოუკიდებელი თამაშის?***

– არა, კალაძეს ნაკლებად. ის უფრო თამამია მერის კომპეტენციის ფარგლებში. თუმცა, ბუნებრივია, მასაც აქვს დამოუკიდებელი თამაშის შიშები.

## თორნიკე შარაშენიძე: „მარგველაშვილის მთავარი მიღწევა ისაა, რომ პოლიტიკაში არ გაისვარა“

***– მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი პოლიტიკური ფიგურა არ არის კონსტიტუციის ახალი რედაქციით, ის მაინც რჩება ქვეყნის მეთაურად. მმართველი პარტიისთვის მნიშვნელოვანია, ვინ იქნება მისი საპრეზიდენტო კანდიდატი?***

– მე ვფიქრობ, რომ თუ ვინ იქნება „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი, ამას ის ერთი კაცი გადაწყვეტს.

***– არის საუბარი, რომ „ქართულ ოცნებაში“ გარკვეული ჯგუფები სხვადასხვა კანდიდატებს ლობირებენ.***

– საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც ივანიშვილი მიიღებს.

***– და ვინ შეიძლება იყოს ეს კანდიდატი?***

– ეს იქნება ერთი, მისი ფავორიტი და მეორე, უნდა შეარჩიოს ისეთი კანდიდატი, რომელსაც კარგი კავშირები ექნება უცხოეთთან, რადგანაც პრეზიდენტი ძირითადად საგარეო პოლიტიკის წარმმართველია, რეალურად ეს დატვირთვა აქვს პრეზიდენტს. ამ კრიტერიუმებს კარგად აკმაყოფილებენ კვირიკაშვილი და ჯანელიძე.

***– ამ ორ კანდიდატს შორის მოხდება არჩევანი?***

– ალბათ უფრო კვირიკაშვილი იქნება შერჩეული.

***– თუ კვირიკაშვილი „გააშავეს“, ბევრი ამბობს, რომ სწორედ ეს პროცესი მიდის ახლა მის წინააღმდეგ, რომ ის ბიზნესინტერესებს ლობირებს და ა.შ. ამის შემდეგ რამდენად იქნება საპრეზიდენტო კანდიდატი?***

– ჯერ არ გარკვეულა ეს ყველაფერი. ჩვენ არ ვიცით, რეალურად რასთან გვაქვს საქმე. ასევე, არ ვიცით, ამ ყველაფრის მიმართ როგორია ბიძინა ივანიშვილის პოზიციები. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

***– პრეზიდენტ მარგველაშვილსაც აქვს სურვილი, რომ მეორე ვადით იყაროს კენჭი. რამდენად მიიღებს ის ამ გადაწყვეტილებას?***

– კარგი იქნება, თუ იყრის კენჭს. ნამდვილად კარგი გადაწყვეტილება იქნება, თუმცა, გამარჯვების შანსი ნაკლები აქვს. მთელი ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსი სახელისუფლო კანდიდატისკენ იქნება მიმართული, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ ასე უცებ მარგველაშვილის პოლიტიკიდან წასვლა არ შეიძლება. ეს არ იქნება არც მისთვის და არც ქვეყნისთვის კარგი.

***– მარგველაშვილის პოლიტიკაში დარჩენა რას მისცემს ქვეყანას?***

– გიორგი მარგველაშვილს აქვს შანსი, შექმნას ახალი, დამოუკიდებელი პოლიტიკური ცენტრი, რომელიც მოიზიდავს გაწონასწორებულ, ზომიერ ძალებს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ არსებობს პოლიტიკური ცენტრი, რომელიც ნეიტრალურ ძალებს შემოიკრებს. თუ ასეთი ცენტრის შექმნის ნება ექნება მარგველაშვილს, ეს მხოლოდ წაადგება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური პროცესის გაჯანსაღებას. შეიძლება საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ვადით ვერ გაიმარჯვოს, მაგრამ მას შეუძლია რეალური მხარდაჭერა მოიპოვოს დასავლეთიდანაც და ქვეყნის შიგნიდანაც. ასევე, შეუძლია დასავლეთიდან ფინანსური მხარდაჭერაც მოიპოვოს.

***– შეიძლება ეს ძალა ოპოზიციის საპირწონე გახდეს?***

– თუ ეს ძალა მოიკრებს ნეიტრალურ, არც „ქოცი“, არც „ნაცი“ დასავლეთზე ორიენტირებულ, კარგ პოლიტიკოსებს, მაშინ ამ ძალას ექნება რეალური შანსი. ფაქტია, რომ ქვეყანას სჭირდება ახალი პოლიტიკური ძალა. ამის შანსი აქვს მარგველაშვილს. მას აქვს ავტორიტეტი, მას აქვს ნდობის ხარისხი და კიდევ ის, რომ არ არის გასვრილი, მან რაღაცნაირად შეინარჩუნა თავი ისე, რომ არ გაისვარა. ათასი სისულელე დააბრალეს, მაგრამ საბოლოო ჯამში გაისად თავის ვადას მაინც სუფთად დაასრულებს. მისი მთავარი მიღწევა კი მაინც იქნება, რომ პოლიტიკაში არ გაისვარა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ახლა პარლამენტში გამოაჩინეს კვირიკაშვილის წინააღმდეგ ბიჭებმა კიჭები“

შორენა მარსაგიშვილი

რა ხდება მთავრობაში, რას ითხოვს პარლამენტი პრემიერისგან, როდის იქნება ნამდვილი ცვლილებები, რას ელოდება ივანიშვილი, რა შემთხვევაში გაურიგდება ის სააკაშვილს, ვინ და რისთვის აფინანსებს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რატომ შეხვდა გიგი წერეთელი სერგეი ლავროვს, რატომ ეკისრება საზოგადოებას პასუხისმგებლობა შექმნილ ვითარებაზე? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

***– მთავრობაში ბოლო საკადრო გადაადგილებების შემდეგ თქვენ თქვით, რომ მთავარი ცვლილებები მოგვიანებით, რამდენიმე თვის შემდეგ იქნებოდა და პრემიერიც შეიცვლებოდა. თქვით, რომ მას მთავრობაშივე უთხრიდნენ ძირს, პარლამენტში ახალი ფრაქციების შექმნაც მისთვის ძირის გამოთხრად შეფასდა.***

– მთავრობაში მთავარი ცვლილებები წინ გველოდება. მაშინაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ პრემიერ გიორგი კვირიკაშვილს ძირს უთხრიან და ამით ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილია დაკავებული. ახლა პარლამენტშიც დაიწყეს მისთვის ძირის გამოთხრა.

ისე ხდება, რომ არ მიჭირს იმის გამოცნობა, თუ რა მოხდება მმართველ გუნდში. ხშირად ისე მართლდება ჩემი პროგნოზები, თითქოს ამათი რუხი კარდინალი ვიყო და მე ვალაგებდე ამ სქემებს.

***– იმდენჯერ მოარტყით მიზანში, მართლა რუხი კარდინალი ხომ არა ხართ?***

– გამორიცხულია. მე ვარ პოლიტიკოსი და მეცნიერი, მაქვს ანალიზის უნარი და მშვენივრად შემიძლია გამოვიცნო, თუ რა არის მოსალოდნელი. ამის გარდა, ჩვენ საკმაოდ სერიოზულ ინფორმაციებიც მოგვდის ხელისუფლების კულუარებიდან.

მართალია, მმართველ გუნდში ამბობენ, რომ პრემიერი არ შეიცვლება, მაგრამ ის აუცილებლად შეიცვლება. კვირიკაშვილი სადღაც გაზაფხულზე უნდა გადადგეს. საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიას ახალი პრემიერი ჩაატარებს. ამ თანამდებობას, სავარაუდოდ, გიორგი გახარია დაიკავებს.

***– მის გაპრემიერებაზე მართლა ბევრი საუბარი მიდის, მაგრამ თავად ამას გამორიცხავს. ამის გარდა, მას საკმაოდ რთული სფერო ჩააბარეს. აშკარაა, რომ კრიმინალის ალაგმვა უჭირს.***

– რა მნიშვნელობა აქვს, უნდა თუ არა მას პრემიერობა ან როგორ გაართმევს თავს შს მინისტრობას. არც გიორგი კვირიკაშვილს აუყვავებია ეკონომიკა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტა და ის გახდა პრემიერ-მინისტრი. ახლაც ასე იქნება.

რაც შეეხება მძიმე კრიმინოგენულ ვითარებას, ეს გასაკვირი არ არის. რამდენჯერ უნდა ვთქვათ, რომ ქვეყანა იარაღით არის გაძეძგილი. ხორავას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, კიდევ ერთი მოზარდი დაჭრეს. ძალიან მძიმედ არის საქმე. არ ვიცი, დაალაგებს თუ არა გახარია ამ ვითარებას. მას ამ სისტემასთან არასდროს შეხება არ ჰქონია, მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, თუ ივანიშვილმა გადაწყვიტა, მას პრემიერობაში ხელი არ შეეშლება.

გარკვეულმა ძალებმა კარგად იგრძნეს კვირიკაშვილის გადადგომის მოახლოება და ახლა პარლამენტში გამოაჩინეს მის წინააღმდეგ ბიჭებმა კიჭები. ახალი ფრაქციების შექმნა პირდაპირი გამოძახილია კვირიკაშვილის და მისი მეგობრის – გია გაჩეჩილაძის დაპირისპირებისა. ეს უკანასკნელი, საჯარო გამოსვლებში, პრემიერს ძმაოთი მიმართავს, კვირიკაშვილი კი მის სატელეფონო ზარებს არ პასუხობს.

ამ ფონზე პარლამენტში იქმნება 2 ახალი ფრაქცია. ერთს ბიძინა გეგიძე უხელმძღვანელებს. ამ ადამიანის მიმართ არანაირი პრეტენზია არ მაქვს. მან თავის დროზე ქართული რაგბისთვის ბევრი კარგი საქმე გააკეთა. რას აკეთებს დეპუტატად გახდომის შემდეგ, არ ვიცი. წლის ბოლოსთვის ის გაჩეჩილაძის გუნდის ლიდერი გახდება პარლამენტში.

მეორე ფრაქციას სათავეში ტარიელ ხეჩიკაშვილის მეგობარი და მეჯვარე გოჩა ენუქიძე ჩაუდგება. სხვათა შორის, ეს ის ტარიელ ხეჩიკაშვილია, რომელიც სულ ნაციონალებს დასდევდა. ამათ კიდევ აიღეს და სპორტის და ახალგაზრდობის საქმეები ჩააბარეს. მაგიტომაც მიდის სპორტის და ახალგაზრდობის საქმეები კარგად.

ამ ფრაქციების მთავარი დანიშნულება პრემიერის დაშანტაჟებაა. ფრაქციების გარდა, პარლამენტში კიდევ ბევრი ინტერესჯგუფებია. შანტაჟს არც ისინი მოერიდებიან.

***– როგორ მოახერხებენ მთავრობის მეთაურის დაშანტაჟებას?***

– კარგად მოახერხებენ. ეტყვიან, თუ ჩვენს მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებ, მთავრობას ნდობას არ გამოვუცხადებთ. ამ ჯერზე მთავრობას აუცილებლად გაუკეთებენ ნდობას, მაგრამ შემდეგში სხვანაირად მოიქცევიან. ამ ფრაქციების შექმნით ყველაზე მეტად სახელმწიფო ბიუჯეტი დაზარალდება. ფრაქციას სჭირდება დამატებითი აპარატი, დამატებითი ხალხი, დამატებითი ავტოტრანსპორტი. ეს ყველაფერი ბიუჯეტმა უნდა აანაზღაუროს.

როდესაც პარლამენტზე ვსაუბრობ, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ეს არის გაქსუებული ბობოლების კრებული, რომლებისთვისაც თავიანთი ქორვაჭრულ-ჩარჩული ინტერესები უმთავრესი. რამდენიმე ადამიანის გარდა, „ქართულ ოცნებაში“ სახელმწიფოზე და სახელმწიფოებრივად არავინ არ ფიქრობს.

ამ მხრივ არც ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები გამოირჩევიან, რომლებიც შეგნებულად დასვა ივანიშვილმა პარლამენტში. ამ ერთმანეთთან განაყარ-განათალ ძალებს რისთვის გამოიყენებენ, ძალიან კარგად ვიცი.

***– რისთვის გამოიყენებენ?***

– როცა ამის დრო დადგება, ამასაც ვიტყვი. მე ის კი კარგად ვიცი, ვინ აფინანსებს ნაციონალურ მოძრაობას და „ევროპულ საქართველოს“. „ქართულ ოცნებას“ რაც შეეხება, აქ მხოლოდ პირად ინტერესებზე ფიქრობენ და ლამისაა, კორუფციაში ჩაიხრჩონ. ურცხვად აცხადებენ, რომ კორუფციას სააკაშვილის და შევარდნაძის დროს ჰქონდა ადგილი. შევარდნაძის დროს „გაიშნიკი“ რომ ქრთამს იღებდა, ეს ცუდი იყო, მაგრამ სახელმწიფოებრიობისთვის ეს ნაკლებად საზიანო იყო, ვიდრე ის, რასაც ესენი აკეთებენ.





## გიგლა ბარამიძე: „ივანიშვილი შესაძლოა სააკაშვილს გაურიგდეს“

გვეუბნებიან, ნეპოტიზმს უარი ვუთხარითო და ცენტრალური ხელისუფლებიდან დაწყებული, რეგიონულით დამთავრებული, სულ თავიანთი ნათესავები, ნათლულები, მეჯვარეები და მეგობრები დანიშნეს. რაღა შორს წავიდეთ, სახალხო დამცველად პარლამენტის ვიცე-სპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა თავისი ჯგუფელი და მეგობარი ნინო ლომჯარია დაანიშნინა. ეს ქალბატონი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, არჩილ თალაკვაძის თანაკლასელიცაა.

ბისმარკმა თავის დროზე თქვა, არსად იმდენს არ იტყუებიან, რამდენსაც ომში, არჩევნებში და ნადირობის შემდეგო. ამას ჩემი მხრიდან დავუმატებ, რომ არც ერთი ქვეყნის მთავრობა და პარლამენტი არ იტყუება ისე, როგორც საქართველოს ხელისუფლება.

დეპუტატების დიდი ნაწილი პარლამენტში ნაცნობობით არის მოხვედრილი. იქ ყველა საკუთარ ინტერესებს და ბიზნესს ლობირებს. საზოგადოების დიდმა ნაწილმა მათი სახელები და გვარებიც კი არ იცის. ერთ-ერთი მაჟორიტარი დეპუტატის სახელი და გვარი მას შემდეგ გავიგეთ, რაც ამ უკანასკნელმა თავისი პოზიცია დააფიქსირა იერუსალიმთან დაკავშირებით.

***– დეპუტატ შალელაშვილზე საუბრობთ?***

– მასზე მოგახსენებთ. ეს ადამიანი შესაძლოა კარგი ბიზნესმენია და კარგად იცის ვაჭრობა, მაგრამ ამ განცხადებამდე მას, როგორც მაჟორიტარს, არავინ იცნობდა. ერთხელ გააკეთა საჯარო განცხადება და მთელი ქვეყანა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა.

ტრამპმა იერუსალიმთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება და არ მოუთხოვია, რომ გინდა თუ არა, საქართველომაც დააფიქსიროს თავისი პოზიციაო. ბატონმა შალელაშვილმა კი, რომელიც 3 ქვეყნის მოქალაქეა, განაცხადა, რომ საქართველომ იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად უნდა აღიაროსო. ამ ბატონს მინდა ვუთხრა, რომ იერუსალიმი მსოფლიოს დედაქალაქია. გაერო მიიჩნევს, რომ ის ორი ქვეყნის – ისრაელის და პალესტინის – დედაქალაქი უნდა იყოს.

შალელაშვილი 3 ქვეყნის მოქალაქეა – საქართველოს, ისრაელის და რუსეთის. საინტერესოა, რომელი ქვეყნის საამებლად გააკეთა მან ეს განცხადება და ამით საქართველოს ინტერესები დააზიანა.

***– პარლამენტში, როგორც ამბობენ, კიდევ არიან დეპუტატები, რომლებიც, საქართველოს გარდა, სხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან. ეს ნორმალურია?***

– ეს ძალიან სახიფათოა ქვეყნისთვის. არ დავასახელებ რეგიონს და ერთ-ერთ რეგიონში საკრებულოში 4 ქვეყნის მოქალაქე ზის. ეს ძალიან ცუდად დამთავრდება ამ ქვეყნისთვის. შალელაშვილს სრული უფლება აქვს, თავისი აზრი გამოხატოს, მაგრამ ეს ისე უნდა გააკეთოს, რომ ქვეყანა უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააგდოს.

ამ ბატონმა სააკაშვილის ქმედება გამახსენა, რომელსაც 2008 წლის ომის შემდეგ დასავლეთის ლიდერები, როგორც კეთროვანს, ისე გაურბოდნენ. ეს საერთაშორისო მაწანწალა დადიოდა კონფერენციებზე და იქ ტუალეტებსა თუ მოსაწევ ოთახებში ხვდებოდა კონგრესმენებს და სენატორებს. ეუბნებოდა, გინდა თუ არა, ავღანეთში ქართული სამშვიდობო კონტინგენტის რიცხოვნობა უნდა გაიზარდოსო. ისინი უარზე იყვნენ, ამან იმდენი ქნა, რომ კონტინგენტი გაზარდა.

შენი პირადი ინტერესების გამო, ქვეყანა არ უნდა დააზარალო, მაგრამ ამ გაქსუებულ ბობოლებს სახელმწიფო არ აინტერესებთ. მათთვის, როგორც უკვე გითხარით, ქორვაჭრულ-ჩარჩული ინტერესებია უმთავრესი.

***– სააკაშვილი ვახსენეთ და მასთან დაკავშირებით რას ფიქრობთ? უნდა ველოდოთ მას საქართველოში?***

– ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს არ მოხდეს. მას მიხეილ სააკაშვილი აქ არაფერში სჭირდება. მისი აქ დაბრუნება არც იმათ დღის წესრიგშია, ვინც მის უკან დგას. სააკაშვილს გარკვეული ძალები იყენებენ იქ, სადაც სიტუაციის არევა უნდათ. ახლა ასეთი ქვეყანაა უკრაინა.

„ქართული ოცნება“ ტკბილ ცხოვრებას მიეჩვია, სააკაშვილის დაბრუნებას ყველანაირად შეუშლიან ხელს, მაგრამ თუ მითითება იქნა, დათანხმდებიან მის ჩამოყვანას. სააკაშვილის ჩამოსვლას რეალურ წინააღმდეგობას ის ხალხი გაუწევს, რომლებმაც ის 9-წლიანი რეჟიმი საკუთარ მხრებზე გადაიტანა. მათ შორის ვიქნები მეც. სააკაშვილმა საქართველოში არ უნდა იშლიგინოს – ეს ღირსების საქმეა.

თუ მაინც დაბრუნდა, „ქართულ ოცნებას“ მასთან საერთო ენის გამონახვა არ გაუჭირდება.

***– ივანიშვილიც შეძლებს მასთან საერთო ენის გამონახვას?***

– საჭიროებამ თუ მოითხოვა, ის გაურიგდება სააკაშვილს და არაა გამორიცხული, მან თანხაც შესთავაზოს. ის ამ თანხას აუცილებლად აიღებს.

***– როგორ შეხვდება ამას საზოგადოება? ასეთი გარიგების შემდეგ, ივანიშვილის მიმართ არ წავა მთელი აგრესია?***

– ივანიშვილს მოვლენების შეფასების კარგი უნარი აღმოაჩნდა. მან შესანიშნავად შეისწავლა ქართველების ბუნება. მან კარგად იცის, თუ რა შემთხვევაში გამოვა ჩვენი ფილისტერული საზოგადოება ქუჩაში.

***– ჩვენს საზოგადოებას საერთოდ არ სურს ქუჩაში გამოსვლა და რამის გაპროტესტება.***

– მაგიტომაც არის, რომ ამდენს ბედავს ხელისუფლება. ვაბედინებთ და ბედავენ. ჩვენი საზოგადოება ფეისბუქლომებად იქცა და იქ აკაკუნებენ. სოციალურ ქსელში სულ იმაზე მიდის საუბარი, როგორ უჭირს ხალხს. ყველა წუწუნებს, ამ დროს რესტორნები სავსეა. საზღვრგარეთიდან ახალ-ახალი მანქანები ჩამოჰყავთ.

პეკინის ქუჩაზე ახალი მაღაზია გაიხსნა, სადაც ნაძვის ხის მოსართავი სათამაშოები იყიდება. ამ სათამაშოების ფასი 40 ლარიდან იწყება და 100 ლარამდე ადის. იმ დღეს გავიარე იქ და მაღაზია სავსე იყო ხალხით. მეტსაც გეტყვით, რიგი ქუჩაში იყო გამოსული. 40 და 50-ლარიანი სათამაშოების საყიდლად დგანან და წუწუნებენ, ფული არ გვაქვსო.

ჩვენ ვართ ის ერი, რომელმაც მთელი სამყარო აიკლო – უძველესი მართლმადიდებლები ვართო. მართლმადიდებლები კი არა, წარმართები ვართ და ის გვაკლია მხოლოდ, რომ არმაზის კერპი აღვმართოთ, რომელსაც ჩვენი წინაპრები ბავშვებს სწირავდნენ.

***– წარმართები რატომ ვართ?***

– აბა სხვა რა უნდა ვუწოდო იმ ადამიანებს, რომლებიც წმინდა გიორგის სვეტის შეურაცხყოფაზე ხმას არ იღებენ. თავისუფლების მოედანზე წლებია, წმინდა გიორგის ქანდაკებას შეურაცხვყოფთ და ხმას არავინ იღებს. ახლაც ზედ ჩიჩილაკები დაკიდეს და ვითომ არაფერი.

კარგად იცით ჩემი დამოკიდებულება ლგბტ თემის მიმართ, მაგრამ აბა რომელიმე მათგანს გაებედა და წმინდა გიორგის სვეტთან რაიმე პერფორმანსი დაედგა, ხომ ატყდებოდა ერთი ამბავი და დაიწყებდა ტირილი, ქართველობას გვართმევენო. ახლა არ გართმევენ ქართველობას, წმინდა გიორგის სვეტზე ჩიჩილაკები რომ კიდია?

ქართველობის დაკარგვაზე მაშინ რატომ არ ამოიღეთ ხმა, ლარი რომ გაგვიუპატიურეს და კონსტიტუცია თავზე დაგვახიეს? ან რატომ არავინ შეიმჩნია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის და გიგი წერეთლის შეხვედრა. ახლა აღარ არის რუსეთი ოკუპანტი, ან იქნებ ლავროვმა წაიღო თავისი განცხადებები უკან? საზოგადოებას ამის შემჩნევა არ უნდა და წარმომიდგენია, რა მოხდებოდა, ნინო ბურჯანაძეს რომ ჩამოერთმია ლავროვისთვის ხელი.

ან ის რას ჰგავს, კალაძის ჩაცმულობაზე რომ არის წივილ-კივილი. სხვამ რომ ასე ჩაიცვას, კლოუნიაო, იტყვიან მასზე. თბილისის მერზე კი იძახიან, გემოვნებით იცვამსო. ეს იმას ჰგავს, ერთ ჩვენს პრეზიდენტზე რომ უთხრეს უცხოელებს, მართალია, პოლიტიკოსი არ არის, მაგრამ იცით, რა კარგად უკრავს ფორტეპიანოზეო.

აი, ასეთი საზოგადოება ვართ და აღარ უნდა გაგვიკვირდეს, ხელისუფლება ამდენს რომ ბედავს.

# გიორგი კვირიკაშვილმა ნიკა მელიას სახალხოდ აგინა

დასაწყისი მე-2 გვერდზე



თავისი წილი განმარტებები გააკეთა ნიკა მელიამ. მან გიორგი კვირიკაშვილს კრიმინალური მენტალიტეტის ადამიანი უწოდა.

– ქვეყანა ჩაფლულია ჭაობში, ქვეყანაში შექმნილ ვითარებას ეწირება ბავშვები, ახალგაზრდები, ათასი მოზარდი ჩაფლულია.. არანაირი განვითარება, არანაირი რეფორმა გატარებული.... ადამიანი მოდის, არც ერთ კითხვაზე პასუხს არ სცემს, თურმე არაფერია მუხთარლის გატაცება.

ეს არის ქუჩის ბიჭი, არათუ ნომინალური ადამიანი, როგორ უნდა ებრძოლოს კრიმინალს, როდესაც თავად არის ხელშემწყობი ქურდული გაგების რომანტიზაციისა და ესთეტიზაციის ამ ქვეყანაში.

ბატონი კვირიკაშვილი აგებს პასუხს კანონის წინაშე ძალიან მკაცრად, კანონის მთელი სიმკაცრით. ეს უსასრულობა, უმსგავსობა და უსამართლობა დასრულდება ძალიან მალე. შეიძლება მოკლე ტაქტიკური გამარჯვება მოიპოვოს არასწორად პოლიტიკურ პარტიასა და საზოგადოებაზე არჩევნებში, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებლად დამარცხდება. არანაირ კეთილდღეობაზე ეს ადამიანი არ ზრუნავს, – განაცხადა ინტერპრესნიუსთან საუბარში ნიკა მელიამ.

# ლევან ჩაჩუა: „ბიზნესწილებში ნაციონალების ადგილი „ოცნებამ“ დაიკავა“

მარიამ მჭედლიშვილი

მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას.



## „2020 წელს პარლამენტში მივიღებთ სახელგადაკეთებულ ნაციონალურ მოძრაობას“

**ლევან ჩაჩუა:**

– ხელისუფლებაში კლანური გარჩევები და გადაჯგუფებებია. ამის დამადასტურებელი მასალები, ზარებისა და გზავნილების ჩათვლით, ტელევიზიებითაც გადაიცა. თუ ადრე ბიზნესს სააკაშვილის ხელისუფლება, ანუ კრიმინალური ბანდა ეჯდა წილში, ახლა ნაციონალების ადგილი „ოცნებამ“ დაიკავა. კარტელური გარიგებები, ფასების რეგულირება იმ დროიდან მოდის. ლარის კურსს, როცა უნდათ, აწევენ, როცა უნდათ, ჩამოწევენ.

საწვავსა და ფარმაცევტულ პროდუქციაზე ისევ მაკონტროლებლები აწესებენ ფასებს. „ქართული ოცნება“ ამის მოგვარებას ხალხს ჰპირდებოდა, მაგრამ ესეც ისეთივე ტყუილი დაპირება აღმოჩნდა, როგორც გადასახადების შემცირება და სამუშაო ადგილების შექმნა. ნელ-ნელა გვაპარებენ გაზისა და დენის გაზრდილ ტარიფებს. სემეკი ამის თაობაზე თანდათან იღებს გადაწყვეტილებებს. არ მუშაობს წარმოება. ადამიანების უდიდესი უმრავლესობა ვალებში იხრჩობა. საგრძნობლად გაზრდილია ფასები. შედეგად ვიღებთ იმას, რომ ხალხის დიდი ნაწილი უფრო ღატაკდება, მმართველი მცირერიცხოვანი ელიტა კი მდიდრდება.

***– ხალხი ამას დაუსრულებლად მოითმენს?***

– ასეთი რამის მოთმენა დაუსრულებლად წარმოუდგენელია. ხელისუფლება მსხვილი ბიზნესის, მათ შორის, ბანკირების ხელშია. პარლამენტშიც ისინი არიან და მთავრობაშიც. რატომ ჰგონია ვინმეს, რომ ისინი ხალხისთვის სასიკეთო კანონებსა და გადაწყვეტილებებს მიიღებენ? ბიზნესმენები იცავენ და მომავალშიც დაიცავენ საკუთარ ბიზნესინტერესებს. ხალხი უკმაყოფილოა. საზოგადოებას ძალიანაც უნდა, რომ ხელისუფლებაში მისი ინტერესების გამტარებელი წესიერი და კომპეტენტური ადამიანები იყვნენ. საპროტესტო განწყობა აშკარაა. ბოლო არჩევნებზე ნახევარზე მეტი არ მივიდა. ხალხი ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზეც თანახმაა.

***– ვადამდელ არჩევნებს რა აზრი აქვს მაშინ, თუ პირველ და მეორე ადგილებზე ისევ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა მოვლენ?***

– ეს რომ არ მოხდეს, ვადამდელ არჩევნებამდე აუცილებელია გარკვეული პირობების შესრულება. იმისთვის, რომ ნორმალური ხელისუფლება მიიღოს, საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს რამდენიმე მოთხოვნის დაკმაყოფილება. შესაცვლელია საარჩევნო გარემო – გასასწორებელია საარჩევნო სიები, ცესკო ახლებურად უნდა დაკომპლექტდეს. მასში საზოგადოებისათვის სანდო პირები უნდა შევიდნენ. არჩევნებში ხმების დათვლა უნდა მოხდეს ყველასათვის გამჭვირვალედ, ღია ეთერში.

დასამყარებელია სრული თანასწორობა კანდიდატებისა და პარტიებისათვის. მანამდე დასადგენია ფიქტიური პარტიები. მოქმედ პარტიებს შორის არ უნდა იყვნენ პრივილეგირებული ძალები, რომლებიც ბიუჯეტიდან ფინანსდებიან და რომლებსაც სატელევიზიო დრო ეთმობათ. ამომრჩევლისათვის პროგრამის გაცნობის უფლება ყველას უნდა ჰქონდეს. საზოგადოება უნდა გაერთიანდეს და მოსთხოვოს ხელისუფლებას ამ პირობების შესრულება.

სხვანაირად ისევ ვიტრიალებთ მოჯადოებულ წრეზე. ხალხმა ჯერ ზვიადს გამოუხატა თანადგომა, მაგრამ მალე მიატოვა და უღალატა, შემდეგ შევარდნაძეს დაუჩოქა, მოგვიანებით „მიშა“ იყვირა, მერე – „ბიძინა“. ახლა მაინც უნდა ვიყოთ ფრთხილად, რომ არავინ მოგვატყუოს და ისეთი წინასაარჩევნო ცრუ დაპირებები არ შემოგვაჩეჩოს, როგორიც „ოცნებას“ ჰქონდა.

***– არის იმის საშიშროება, რომ რომელიმე ახალმა ძალამ ან ლიდერმა ხალხი კიდევ გააბრიყვოს?***

– დიდი ალბათობით, ასეთი ძალები და პოლიტიკოსები გააქტიურდებიან. ისინი შეკრული იქნებიან ივანიშვილთან და ეროვნული მოტივების ქვეშ შემოაპარებენ სიყალბეს. ამიტომ, ადამიანები ფრთხილად უნდა მოეკიდონ ივანიშვილთან გარიგებულ ძალებს.

***– დავუშვათ, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ დადგა დღის წესრიგში. რა იქნება 2020 წელს?***

– თუ ხალხი არ გაერთიანდა, არ მოითხოვა სამართლიანი საარჩევნო გარემო, 2020 წელს პარლამენტში მივიღებთ სახელგადაკეთებულ ნაციონალურ მოძრაობას. ეს იქნება იგივე პარტია, შეცვლილი სახელით. ამით შესრულდება 2012 წელს მიღწეული გარიგება.

***– კერძოდ?***

– გარიგება, რომლის თანახმად, ორი ვადის შემდეგ ხელისუფლებაში ბრუნდებიან ნაციონალები. კოაბიტაცია, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დაშლა ამ მიზანს ემსახურება. გირჩი, ევროპული საქართველო, ვაშაძის გაერთიანება და თვითონ ნაციონალური მოძრაობა ერთ დაჯგუფებას წარმოადგენს. ამ გაერთიანებას სახეებიც ძველი ჰყავს. 25 წელიწადია, ერთი და იგივე ოდიოზური და გასვრილი ფიგურები წარმართავენ პოლიტიკას საქართველოში. იმიტომაც ვერ გამოვსულვართ ჭაობიდან და სიდუხჭირიდან.

***– „ქართულმა ოცნებამ“ ამ პარლამენტში ახალი სახეებიც შემოიყვანა.***

– რომელი ახალი სახე ცვლის რამეს? კალაძემ რამდენიმე სპორტსმენს გაუწია პროტექცია, სხვამ თავისი შეხედულებით დააკომპლექტა თავისი ჯგუფი. პარლამენტში არიან ახალგაზრდა დეპუტატები, ახალი სახეები, მაგრამ ამით არაფერი იცვლება. სააკაშვილსაც ჰყავდა თავისი გოგო-ბიჭები. მათ გამო მან დეპუტატის ასაკიც დასწია. ამგვარი ფასადური გადაწყვეტილებებით სისტემა არ იცვლება.

ძველი, შევარდნაძის დროინდელი სისტემა გვაქვს გაძლიერებული აღებ-მიცემობით, უცვლელი სახეებითა და უძრაობით. ამ სიტუაციაში ხალხზე ვინ იზრუნებს? საქართველოს მოსახლეობას, ძირითადად, უცხოეთში სამუშაოდ წასული ჩვენი თანამოქალაქეები ინახავენ. მათი უმრავლესობა მძიმე და შეუფერებელ სამუშაოს ასრულებს. ხელისუფლება იმასაც ახერხებს, რომ ამ ადამიანებს ფული შეაწეროს. ეს ხდება გადასახადების ზრდის, პროდუქციის გაძვირების, ვალუტის კურსის ხელოვნურად ცვლის გზით. უცხოეთიდან გამოგზავნილი თანხებით აქაურები გაძვირებულ ცხოვრებას ყიდულობენ.

# ხათუნა ხოფერია: „კვირიკაშვილს ასე უბრალოდ ვერავინ გადააყენებს“

ნონა ცაბაძე

უმრავლესობაში მიმდინარე პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს ხათუნა ხოფერია პასუხობს.



## „უმრავლესობის შიგნით ფრაქციების შექმნა პოლიტიკური პროცესია“



***– ქალბატონო ხათუნა, უმრავლესობა სამ ფრაქციად იშლება და რა ხდება?***

– რა ხდება? პრინციპში არც არაფერი საგანგაშო და ცუდი არ ხდება. მოსალოდნელი პროცესია. კარგია, რომ ეს დაიწყო დროულად და არ მოხდა მისი ხელოვნურად შეჩერება.

***– კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

– მე ვგულისხმობ თუნდაც ლომჯარიასთან დაკავშირებულ პროცესს, როდესაც ერთიანი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხერხდა ფრაქციის შიგნით და იმთავითვე გამოჩნდა, რომ არიან ადამიანები, რომლებიც განსხვავებულად ფიქრობენ, გააჩნიათ სერიოზული პოზიციები და ხმის მიცემის პროცესშიც ამას ამტკიცებენ და არ ფარავენ თავის დამოკიდებულებას. ანალოგიური პროცესი იყო საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებითაც.

***– აქაც აზრი ორად გაიყო.***

– დიახ, დეპუტატების გარკვეული ჯგუფი წინააღმდეგი წავიდა ცვლილებების, რომელიც უნდა შესულიყო საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით კანონპროექტში. კერძოდ, ეს ეხება სარეკლამო პოლიტიკას.

***– ეს პროცესები რას გვაჩვენებდა?***

– აჩვენებდა იმას, რომ შიდა ფრაქციული გადაწყვეტილებების მიღება არ იყო ადვილი და ხდებოდა ადამიანების იდეოლოგიური ნიშნით დაყოფა, ხდებოდა გარკვეული ლიდერების არცნობა დეპუტატების მხრიდან და, შესაბამისად, საჭირო გახდა ამ იდეოლოგიის და შეხედულებების მიხედვით შექმნილიყო ცალკე ჯგუფები. რომელსაც ეწოდება ფრაქცია და რომელიც არის ერთ-ერთი ყველაზე მოქნილი პოლიტიკური ორგანიზმი ქვეყნის უმაღლეს პოლიტიკურ ორგანოში.

ფრაქციებს აქვთ თავისი კვოტები, როდესაც ხდება განხილვა საკითხების, მათ აქვთ სავალდებულო დრო, რომელიც შეუძლიათ გამოიყენონ და დააფიქსირონ თავიანთი პოლიტიკური მოსაზრება. იმის მტკიცება, რომ ეს ხდება მენეჯმენტის გულისთვის, უბრალოდ, სასაცილოა!

***– მაშინ რა გამოდის, საზოგადოების მოტყუებას ცდილობენ თუ თავს იტყუებენ, როცა ამბობენ, რომ ფრაქციების შექმნის უკან პოლიტიკა არ არის?***

– მე არ მინდა ასე დავამძიმოთ სურათი. იქ არის გარკვეული ჯგუფი, რომელიც უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან მართვა ამ ორგანიზმის, რასაც უმრავლესობა ჰქვია, რასაც მმართველი პოლიტიკური ძალა ჰქვია, იყო მათ ხელში და მათ უბრალოდ ვერ შეძლეს იმის გაკეთება, რაც უნდა გაეკეთებინათ. ალბათ არის იმის მცდელობა, რომ ეს პროცესი სულ ოდნავ მაინც გაელამაზებინათ, თუმცა სულაც არ იყო ამის საჭიროება, რადგან ეს არის ბუნებრივი პროცესი და პირიქით, ჯობია, რომ გახსნილად იყოს საუბარი ყველაფერზე, რომ წერტილები დროულად გადანაწილდეს.

***– ტენდერები, ბიზნეს ინტერესები რამდენად არის ამ ყველაფრის თანმდევი პროცესი?***

– მე არ ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი არის პრემიერის და მისი მეგობრის დაპირისპირებიდან გამომდინარე. ამას დაპირისპირებასაც კი ვერ დავარქმევ. ეს გამორიცხულია. პრაქტიკულად ყველამ ვიცოდით, რომ ეს პროცესი, პოლიტიკური სივრცის შეცვლის, დაიწყებოდა პარლამენტში და გარკვეულ ნიშებში გადაადგილების პროცესი აუცილებლად გაგრძელდება და ეს იქნება ძალიან საინტერესო.

2020 წლის არჩევნებისთვის ქვეყანა აბსოლუტურად განახლებული ხედვით და განახლებული პოლიტიკური ძალებით უნდა მივიდეს. კარგია, რომ ეს პროცესი ახლა დაიწყო და ამისთვის სამი წელია კიდევ წინ.

***– რა დავარქვათ ამ პროცესს? მიმდინარეობს უმრავლესობის შიგნით ოპოზიციური ძალის წარმოქმნა?***

– ჯერჯერობით ვერ ვიტყვი, რომ ოპოზიციური ძალის წარმოქმნა ხდება, მაგრამ ფაქტია, რომ გარკვეულმა ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ მიიღოს დამოუკიდებელი პოლიტიკური გადაწყვეტილებები და არ იყოს ნაწილი იმ ერთიანი ძალის, რომელიც მანამდე არსებობდა. ეს სურათი რაღაც პერიოდის შემდეგ უფრო ნათელი გახდება.

***– რამდენად არის შეთანხმებული ბიძინა ივანიშვილთან ის სვლები, რაც უმრავლესობაში ხდება?***

– მე არ მრჩება იმის შთაბეჭდილება, რომ ეს ადამიანი ზოგადად ამ პროცესებში ერევა. მან გააკეთა განცხადება და გავიდა. ახლა ვიღაცა რაღაცას თუ დაეკითხება ადამიანს, რომელმაც შექმნა ეს პოლიტიკური რეალობა, რომელიც დღეს გვაქვს, მას ალბათ თავისი აზრი გააჩნია. ის დღემდე არის „ქართული ოცნების“ ლიდერი. ამისთვის სულაც არ არის საჭირო, გერქვას გენერალური მდივანი ან პარტიის თავმჯდომარე. მისი შექმნილია ეს პოლიტიკური ძალა და ზოგადად ეს პოლიტიკური რეალობა არის ამ ადამიანის შექმნილი! დარწმუნებული ვარ, მას თუ რამეს ჰკითხავენ, აუცილებლად ექნება თავისი შეხედულება. თუმცა, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ კითხვითაც აღარ ეკითხებიან არაფერს.

***– კვირიკაშვილის გადადგომის საკითხზეც აზრი ორად არის გაყოფილი თავად უმრავლესობაში. ნაწილი ამას კატეგორიულად გამორიცხავს, მეორე ნაწილი შესაძლებლად მიიჩნევს მის გადაყენებას. რას იტყვით თქვენ?***

– იცით, რა არის, გადასაყენებელი და დასატუქსი გიორგი კვირიკაშვილს ნამდვილად არაფერი სჭირს. ის არ არის ცუდი პრემიერ-მინისტრი. მის ხელში ძალიან მნიშვნელოვანი, თუნდაც საერთაშორისო დონეზე, ბევრი რამ მოხდა. ორი არჩევნებია მოგებული ამ ძალის მიერ და ადგნენ და გადააყენონ, ასე ნამდვილად არ არის საქმე.

***– ახალი სისხლი სჭირდება „ოცნების“ ხელისუფლებასო.***

– თუ საჭირო გახდა ახალი ძალა აღმასრულებელ ხელისუფლებაში, თუ საჭირო გახდა ახალი ხედვები და თავად გიორგი კვირიკაშვილს არ ექნება ეს დამოკიდებულება არსებულთან მიმართებაში, ალბათ ის წავა. მაგრამ მე ამის საჭიროებას ვერ ვხედავ.

ის საკმაოდ ზომიერი და კარგი პრემიერ-მინისტრია. ის არ არის კორუმპირებული, არ არის აჟიტირებული და ზედმეტად ამბიციური. ის არის უბრალოდ პრემიერ-მინისტრი.

***– რას იტყვით გიორგი გახარიაზე, რომელიც მოიაზრება კვირიკაშვილის შემცვლელად?***

– ვერაფერს გეტყვით ამ თემაზე. ერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ეს ადამიანი ტოვებს ძალიან კარგ შთაბეჭდილებას. რაც მთავარია, რაც გახარია გახდა შინაგან საქმეთა მინისტრი, გამოიკვეთა ერთი ყველაზე კარგი თვისება, ეს არის პატივისცემა ხალხის და ეს არის ინფორმაციის დროულად და გასაგებ ენაზე მიტანა ადამიანებთან.

ის აქტიურად ჩაერთო ამ პროცესში და ის საზოგადოებას პატივს სცემს, რადგან ოპერატიულად შემოდის კონტაქტში საზოგადოებასთან. ეს არის ძალიან კარგი თვისება. როგორც ამბობენ, ძალიან წესიერი ადამიანია, მეტი სხვა ინფორმაცია მასთან დაკავშირებით არ მაქვს.

# ლელა ჩახვაძე: „სურსათის უვნებლობის სამსახურმა პოლიტიკური ნიშნით გამათავისუფლა“

## „ეს სამსახური რესტორნებს დღისით ხურავს, ღამით ხსნის“

გულიკო ბალაძე

თბილისში რამდენიმე რესტორანი და მაღაზიაა, რომელსაც სურსათის უვნებლობის სამსახური დღისით ლუქავს, ღამით კი ხსნის. ასეთ დღეში 600-მდე საწარმოა.

სურსათის უვნებლობის სამსახურმა (სუსი) ლელა ჩახვაძე 15 დეკემბერს სამსახურიდან პოლიტიკური მოტივებით გაათავისუფლა. სუსი არის სურსათის უვნებლობაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა, რომელიც სხვადასხვა კვებით დაწესებულებებში საკვების ხარისხის დონეს აკონტროლებს. ამით უნდათ გადაფარონ თავისი კორუფციის ფაქტები. სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მათ შორის, სურსათის უვნებლობის სამსახური, მთლიანად კორუფციის ჭაობშია.

ამის შესახებ სურსათის უვნებლობის სამსახურიდან გათავისუფლებული, ლანჩხუთის საკრებულოს დეპუტატი და ლანჩხუთის მერობის კანდიდატი „პატრიოტთა ალიანსიდან“ ლელა ჩახვაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“ ხელმძღვანელი ნატალია ხოხიაშვილი და უფლებადამცველი მამუკა ტუსკაძე საუბრობენ.

**ლელა ჩახვაძე:**

– 15 დეკემბერს პოლიტიკური მოტივებით სამსახურიდან გამათავისუფლეს. ვმუშაობდი სურსათის უვნებლობის სამსახურში, თბილისში. მე ვარ ლანჩხუთის საკრებულოს დეპუტატი და პატრიოტთა ალიანსიდან კენჭს ვიყრიდი ლანჩხუთის მერობაზე. სამსახურიდან ჩემს გათავისუფლებას პოლიტიკურ დევნად აღვიქვამ. გარდა პოლიტიკური მოტივებისა, ჩემი გათავისუფლების მიზეზი ისაა, რომ ვამხელდი სოფლის მეურნეობის სამინისტროს უვარგის ბრძოლას ფაროსანას წინააღმდეგ. ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლისთვის გამოყოფილი თანხები მითვისებულია.

***– უვარგისად ბრძოლაში რას გულისხმობთ?***

– უვარგისად ბრძოლაში ვგულისხმობ იმას, რომ ფაროსანას წინააღმდეგ არ გამოიყენებოდა სათანადო ტექნიკა, საკარმიდამო ნაკვეთები არ შეიწამლა. სანამ მე არ ვთქვი ხმამაღლა, ავიაცია არ გამოიყენეს, ავიაცია შემდეგ ჩართეს ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. წამლობა უნდა მომხდარიყო მაისის პირველ ნახევარში. ეს სამუშაოები ივნისის ბოლოს დაიწყო.

***– სამუშაოების დაგვიანებას რას მიაწერთ?***

– სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს მხრიდან არაეფექტურ მენეჯმენტს.

***– სურსათის უვნებლობის სამსახურში თქვენ რა პოზიციაზე მუშაობდით?***

– მე ვმუშაობდი ინსპექტორად. ჩემს მოვალეობაში შედიოდა სხვადასხვა საქმიანობის განხორციელება ვეტერინარული კუთხით, მონიტორინგი, ექსპორტზე ტვირთების გაშვების დროს სერთიფიკატების გაცემა და სხვადასხვა სახის სამუშაოები.

***– ფაროსანა თქვენ არ გეხებოდათ?***

– ფაროსანა, როგორც სპეციალისტს, არ მეხება, მაგრამ, როგორც მოქალაქეს, მეხება.

***– თქვენ ფაროსანასთან ბრძოლის პროცესში თანხების მითვისებაზე განაცხადეთ.***

– ამის თაობაზე მხოლოდ ახლა კი არ განვაცხადე, მერობის კანდიდატი ვიყავი და მაშინაც ვსაუბრობდი. ფაროსანამ გურიის მოსავლის 95% გაანადგურა. 16 მილიონი იყო გამოყოფილი და 16 თეთრის შედეგიც კი ვერ მივიღეთ.

***– თანხები გვერდით წავიდა?***

– თუ ფაროსანასთან ბრძოლა დაგვიანებული იყო, მაშინ სამუშაოები რატომ ჩაატარეს? თუ ყველაფერი კარგად იყო დაგეგმილი, შედეგი სად გვაქვს? მე მოვიკითხე ლანჩხუთის რაიონში, რამდენი იყო გამოყოფილი ამ სამუშაოს შესასრულებლად. 16 მილიონიდან მხოლოდ 200 ათასი ლარი გამოიყო ლანჩხუთისთვის მაშინ, როდესაც მთელს საქართველოში ყველაზე მეტი ფაროსანა ლანჩხუთსა და ზუგდიდში იყო.

***– სამსახურიდან თქვენი გათავისუფლების გარემოებები როგორია?***

– წინასაარჩევნოდ ჩემს სამსახურს კუთვნილი შვებულებისა და უხელფასო შვებულების მოთხოვნით განცხადებით მივმართე. მიპასუხეს, რომ ადამიანური რესურსის სიმწირის გამო კუთვნილ შვებულებას ვერ მომცემდნენ. მე მათ ვუთხარი, რომ არღვევდნენ საქართველოს კონსტიტუციას, რომელიც უფლებას მანიჭებს, მონაწილეობა მივიღო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში და უარი არ მიიღება არანაირი მოტივით-მეთქი. ეს ითვლება კანდიდატის დისკრედიტაციად, სხვა კანდიდატებთან შედარებით ცუდ პირობებში ჩაყენებად.

ამის გამო მივმართე არასამთავრობო ორგანიზაციას და ჩემი პარტიის ხელმძღვანელებს. მათ საკითხი უწყებათაშორის კომისიაზე გაიტანეს, სადაც გადაწყდა, რომ მე მომეცემოდა წინასაარჩევნო კამპანიის სრულყოფილად ჩატარების საშუალება. არჩევნების შემდეგ მე დავბრუნდი სამსახურში. მიუხედავად ყველაფრისა, 15 დეკემბერს გადმომცეს ჩემი სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება.

***– სამსახურში როდის დაბრუნდით?***

– სამსახურში 12 ნოემბერს დავბრუნდი, რადგან 8 ნოემბერს მითხრა სურსათის უვნებლობის კადრების განყოფილების უფროსმა, თქვენი განცხადება არ დაკმაყოფილდაო. სამი თვის შემდეგ მითხრეს, რომ ჩემი განცხადება დაკმაყოფილებული არ იყო.

***– გამოდის, 3 თვე უკანონოდ იყავით სამსახურიდან წასული?***

– თუ უკანონოდ ვიყავი წასული, ამ თვეების ხელფასი დანამატის გარეშე რატომ მივიღე? სამი თვის განმავლობაში შეჩერებული მქონდა და 9 ნოემბერს 2 თვის ხელფასი ერთდროულად ჩამომირიცხეს. თუ უკანონოდ ვიყავი წასული, მაშინ ხელფასი როგორ ჩამომირიცხეს. მესამე თვის ხელფასი სამსახურში გამოსვლის შემდეგ, 22 ნოემბერს ჩამომირიცხეს.

***– გათავისუფლების ბრძანებაში რა ჩაგიწერეს?***

– გათავისუფლების ბრძანებაში წერია, რომ ლელა ჩახვაძის ქმედება გამოიხატა არასაპატიო მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობაში და მიჩნეულია დისციპლინარულ გადაცდომად. დისციპლინარულ სასჯელად მიესაჯოს სამსახურიდან გათავისუფლებაო.

***– დისციპლინარული გადაცდომისთვის სამსახურიდან ათავისუფლებენ?***

– არა. ერთი და იგივე საქმეზე ორჯერ გამომიცხადეს საყვედური. დარღვევაც რომ ყოფილიყო, ორჯერ გამომიცხადეს საყვედური. ამიტომ მივდივარ სასამართლოში.

❖ ❖ ❖

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“ ხელმძღვანელმა **ნატალია ხოხიაშვილმა** თავის დროზე ლელა ჩახვაძის საკითხი უწყებათაშორის კომისიაზე გაიტანა.

– ლელა ჩახვაძემ მომართა ჩემს ორგანიზაციას, რომ „პატრიოტთა ალიანსის“ წარდგინებით, ის კენჭს იყრიდა ლანჩხუთის რაიონში მერის პოსტზე, მაგრამ მუშაობდა თბილისში და საარჩევნო კამპანიის სრულფასოვან წარმოებაში ხელი რომ არ შეშლოდა, მიმართა სურსათის ეროვნულ სამსახურს და სთხოვა კუთვნილი და უხელფასო შვებულება, რაზეც ქალბატონმა ლელამ უარი მიიღო.

***– უარის მიზეზად სუსმა ადამიანური რესურსის ნაკლებობა დაასახელა. ამ უწყებას ამ მოტივით უარის თქმის უფლება არ ჰქონდა?***

– უფლება ჰქონდა, თუკი ორგანიზაციას მართლა შეზღუდული ადამიანური რესურსი ექნებოდა და სამსახურიდან სხვა თანამშრომლები უკვე ეყოლებოდა გაშვებული. ასეთ შემთხვევაში უხელფასო შვებულებაზე უარის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ კუთვნილ შვებულებაზე უარის თქმის უფლება არ აქვს. ეს ქალბატონი შვებულებას დასვენებისთვის არ ღებულობდა, ის საარჩევნო კამპანიაში იყო ჩართული. ამიტომ მისი ეს მდგომარეობა სამსახურს აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა.



„ფაროსანას წინააღმდეგ 16 მილიონი იყო გამოყოფილი და 16 თეთრის შედეგიც კი ვერ მივიღეთ“

ქალბატონ ლელას განცხადებით, იმ პოზიციაზე, რაზეც ქალბატონი ლელა მუშაობდა, სამსახურიდან არც ერთი სპეციალისტი არ იყო გაშვებული შვებულებაში. ეს იყო მიზეზი, რომ ჩახვაძე შეეფერხებინათ და საარჩევნო კამპანიაში არ მიეღო მონაწილეობა.

ეს საკითხი გავიტანეთ უწყებათაშორის კომისიაზე. ქალბატონი თეა წულუკიანი დაინტერესდა ამ საკითხით და მაშინვე მოითხოვა პასუხი ცესკოს და სოფლის მეურნეობის სამინისტროდანაც. უპასუხეს, რომ ლელა ჩახვაძის მხრიდან დაშვებული იყო ხარვეზი, მას ორი თარიღი ჰქონდა მითითებული.

ბუნებრივია, ორ თარიღს მიუთითებდა, რადგან ჯერ ითხოვდა კუთვნილ შვებულებას, კუთვნილი შვებულება რომ დამთავრდებოდა, უხელფასო შვებულებას. შემდეგ რადგან უწყებათაშორის კომისიაზე გავიდა საკითხი და არასამთავრობოებიც დაინტერესდნენ, ქალბატონმა თეამ ერთ-ერთ სხდომაზე გაგვიცხადა, რომ ლელა ჩახვაძის შვებულების საკითხი დადებითად არის გადაწყვეტილია და მას შეუძლია არჩევნებში სრულყოფილად მიიღოს მონაწილეობაო. ამის თაობაზე არსებობს უწყებათაშორისი კომისიის ოქმები.

❖ ❖ ❖

უფლებადამცველმა **მამუკა ტუსკაძემ** ამ საკითხთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა.

– საქართველოში ადამიანებს სამსახურებიდან უკვე პოლიტიკური მოტივებით ათავისუფლებენ. სურსათის უვნებლობის სამსახურიდან ლელა ჩახვაძე პოლიტიკური მოტივებით გაათავისუფლეს. ქვეყანაში იწყება დიქტატურა. ადამიანებს სამსახურებიდან ათავისუფლებენ პოლიტიკური მოტივებით იმის გამო, რომ ისინი არიან სხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, – განაცხადა მამუკა ტუსკაძემ.

***– პოლიტიკურ მოტივებზე ყურადღებას რატომ ამახვილებთ?***

– იმიტომ, რომ ლელა ჩახვაძე სხვა პარტიის წევრია. მისი გათავისუფლების მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ეს არის. ეს მისი გათავისუფლების ბრძანებაში იკითხება.

გათავისუფლების ბრძანებაში წერია, რომ ლელა ჩახვაძე გათავისუფლდა (კუთვნილი შვებულება რადგან არ მისცეს) საარჩევნო პერიოდში სამსახურის გაცდენის გამო. კანონში არსებობს მუხლი, რომელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ საარჩევნო პერიოდში თუნდაც არ ეკუთვნოდეს შვებულება (ლელა ჩახვაძეს შვებულება ეკუთვნოდა), მისი დამსაქმებელი ორგანიზაცია ვალდებულია, ხელი შეუწყოს საარჩევნო სუბიექტის არჩევნებში სრულფასოვან მონაწილეობას, რაც არ გააკეთა სურსათის უვნებლობის სამსახურმა.

პირიქით, რაღაც პერიოდის შემდეგ, სურსათის უვნებლობის სამსახურმა ლელა ჩახვაძეს საარჩევნო პერიოდში გაცდენილი დღეები, რომლებიც სინამდვილეში იყო კუთვნილი შვებულების დღეები, ჩაუთვალა არასაპატიოდ და 15 დეკემბერს სამსახურიდან გაათავისუფლა.

ეს არ არის პოლიტიკური მოტივი, პოლიტიკურ ნიადაგზე არ არის გათავისუფლებული? „ქართული ოცნების“ წევრი რომ ყოფილიყო, მაშინ ხომ არ იზამდნენ ამას.

გარდა ამისა, სურსათის უვნებლობის სამსახურს ამ პოლიტიკური თამაშებით უნდა გადაფაროს ის დანაშაულებრივი ფაქტები, იქ რაც ხდება.

***– რა დანაშაულებრივი ფაქტები ხდება?***

– სურსათის უვნებლობის სამსახური (სუსი) არის მონიტორინგის ერთ-ერთი სტრუქტურა. სუსი არის სურსათის უვნებლობაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა., ანუ ოპერატიული სამსახური, რომელიც აკონტროლებს სხვადასხვა კვებით დაწესებულებებში საკვების ხარისხის დონეს. რამდენად ხარისხიანი საკვები იყიდება ამა თუ იმ დაწესებულებაში, დამოკიდებულია ამ სამსახურის მუშაობაზე. საწარმოს დღისით დაკეტავენ, ღამით კი ხსნიან.

***– რომელი საწარმო დალუქეს დღისით და ღამით გახსნეს?***

– თბილისში რამდენიმე რესტორანი და რამდენიმე მაღაზია დღისით დალუქეს, ღამით კი გახსნეს. ასეთი დღეში 600-მდე საწარმოა. იციან, რომ ადამიანის პოლიტიკური მოტივებით გათავისუფლების გამო პოლიტიკური დებატები დაიწყება და ამით უნდათ გადაფარონ თავისი კორუფციის ფაქტები. სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მათ შორის, სურსათის უვნებლობის სამსახური, მთლიანად კორუფციის ჭაობშია.

***– შეგიძლიათ კონკრეტულად დაასახელოთ კორუფციის მაგალითი?***

– გეუბნებით, რესტორნებს დღისით ხურავენ, ღამით ხსნიან. რამდენიმესაათიანი ლიცენზიები აქვთ, 6-საათიანი, 12-საათიანი.

***– სურსათის უვნებლობის სამსახური შემოწმების შემდეგ მხოლოდ რეკომენდაციას აძლევს თუ მისი დასკვნები აუცილებელი შესასრულებელია?***

– სურსათის უვნებლობის სამსახური ერთ-ერთი ძლიერი ორგანიზაციაა. ეს არ არის მხოლოდ მონიტორინგის სამსახური. მათ უნდათ, მათი საქმეები დაიფაროს და ლელა ჩახვაძის გათავისუფლების საკითხზე ვისაუბროთ და არა მათ მუშაობაზე.

***– ლელა ჩახვაძე მათ ხელს უშლიდა?***

– დიახ, ლელა ჩახვაძე მათი პოლიტიკური გუნდის წევრი არ არის. ამიტომ, ბუნებრივია, ის ხელს უშლიდა. მათ საქმიანობაზე დღეს თუ ხვალ ლელა ჩახვაძე ხმას ამოიღებდა, როცა მყარი მტკიცებულებები ექნებოდა. ამიტომ მას ვერ ენდობოდნენ.

***– თუკი ლელა ჩახვაძე არ დაწერდა განცხადებას შვებულების შესახებ, არ იქნებოდა სხვა პარტიის წევრი, მაგრამ განაცხადებდა დარღვევების შესახებ, მაშინ?***

– მაშინ ვერ გაათავისუფლებდნენ სამსახურიდან. ლელა ჩახვაძის ცხოვრებისეული ბიოგრაფია მთლიანად პოლიტიკას უკავშირდება. ლელა ჩახვაძე დამოუკიდებელ პიროვნებად მივიდა იქ და დამოუკიდებელ პიროვნებად წამოვიდა იქიდან. თუმცა, ჩვენ არ შევეგუებით ამას, 100-ითნულს მოვუგებთ სურსათის უვნებლობის სამსახურს და, შესაბამისად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს. თუმცა, მათ სწორედ ის უნდათ, ჩვენი მთელი ყურადღება გადავიდეს ლელა ჩახვაძის გათავისუფლების საკითხზე და ყურადღების მიღმა დარჩეს მთავარი – კორუფციული გარიგებები სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სურსათის უვნებლობის სამსახურში.

# დავით სერგეენკო: „სოციალური დახმარების სისტემა მოსახლეობის სოციალურ საჭიროებებს ვერ აკმაყოფილებს“



განათლებისა და მეცნიერების, სპორტისა და ჯანდაცვის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე ჯანდაცვის მინისტრობის კანდიდატ დავით სერგეენკოს მოუსმინეს. სერგეენკომ პრეზენტაციის ფარგლებში სამინისტროს მიერ გაწეული სამუშაოები შეაჯამა და ჯანდაცვის უწყების მთავარ გამოწვევებზე ისაუბრა.

მისი თქმით, სამინისტროსთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა სოციალური დახმარების სისტემის გაუმჯობესებაა. სერგეენკოს განცხადებით, აღნიშნული მეთოდიკა მოსახლეობის სოციალურ საჭიროებებს ვერ აკმაყოფილებს და მასში რიგი ხარვეზები არსებობს, რომელთა გამოსწორებაზეც ჯანდაცვის უწყება მუშაობას განაგრძობს.

– თითოეული ადამიანი, რომელსაც სჭირდება დახმარება და ან უგვიანდება, ან არ აქვს, გუნდის სახელით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი ღირსების საკითხია, ვიზრუნოთ მათ კეთილდღეობაზე. რა თქმა უნდა, არის ხარვეზები. არსებული მეთოდოლოგია ვერ აკმაყოფილებს რეალურ საჭიროებებს. თუმცა, ჩვენ მრავალი ქვეყნის მეთოდოლოგია გვაქვს შესწავლილი და დედამიწაზე არ არსებობს სოციალური დახმარების მეთოდოლოგია, რომელიც 100 %-ით დააკმაყოფილებს საჭიროებებს. რა თქმა უნდა, თითოეული ოჯახის უკმაყოფილება ჩვენთვის მნიშვნელოვანია და მათი კეთილდღეობა ჩვენი ღირსების საკითხია, – აღნიშნა სერგეენკომ კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას.

სერგეენკოს თქმით, უწყებისთვის უმთავრეს გამოწვევად ამბულატორიულ მედიკამენტებზე მოსახლეობის სრულფასოვანი წვდომის უზრუნველყოფა რჩება.

– ამ მიმართულებით წელს დავიწყეთ ახალი პროგრამა, რომელიც ამ ეტაპზე მხოლოდ სოციალურად დაუცველ მოსახლეობასა და მედიკამენტების გარკვეულ ჩამონათვალს მოიცავს. ეს მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა, რა თქმა უნდა, საკმარისი არაა და როგორც მედიკამენტების ჩამონათვალის, ისე მოსარგებლეთა რიცხვის გაზრდა უწყების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

დავით სერგეენკოს განცხადებით, 2018 წლიდან ელექტრონული ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ცვლილებები რამდენიმე მიმართულებით განხორციელდება. ელექტრონულ სისტემაზე გადავა: 1. ჯანდაცვის ფინანსური ანგარიშგების მოდული; 2. რეცეპტების სისტემა; 3. პაციენტების ჩანაწერები, რომელზეც წვდომა ექნებათ პაციენტს, ექიმსა და სამინისტროს. მინისტრობის კანდიდატის განცხადებით, აღნიშნული სისტემა დაავადებათა ადრეულ აღმოჩენისა და აღმოფხვრაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

პირველადი ჯანდაცვა და დაავადებების ადრეული დეტექცია. იმისათვის, რომ ეს სისტემა ეფექტურად იყოს მართული, აუცილებელია, მართვის სისტემა იყოს თანამედროვე და გამჭვირვალე. ამ მხრივ აღსანიშნავია ცვლილებები, რომლებიც შარშანწინ დაიწყო და ჰქვია ჯანდაცვის ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა. გამოვყოფ სამ მიმართულებას:

ჯანდაცვის უწყების მიღწევებიდან სერგეენკომ განსაკუთრებული ყურადღება ცე ჰეპატიტის სრულად აღმოფხვრის პროგრამის, საყოველთაო ჯანდაცვის სერვისის ამოქმედებასა და დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის კუთხით განხორციელებულ რეფორმებზე გაამახვილა. მისივე თქმით, ინფრასტრუქტურის კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანი წინსვლა გასულ წლებში სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისში აღინიშნა, სადაც ინვენტარი სრულად განახლდა.

განათლებისა და მეცნიერების, სპორტისა და ჯანდაცვის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე მინისტრობის კანდიდატებს უსმენენ. შესაბამისი უწყებების მინისტრობის კანდიდატები კომიტეტების წევრებს პრეზენტაციებს წარუდგენენ, რომლებიც მათ მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშსა და სამომავლო ხედვებზე საუბრობენ.

## დიმიტრი ქუმსიშვილი: „საქართველო უნდა გახდეს ჰაბი, სადაც მოხდება ელექტროენერგიით ვაჭრობა"



საქართველოს პარლამენტში კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე დიმიტრი ქუმსიშვილმა ენერგოსექტორის განვითარების შესახებ ისაუბრა. მისი განცხადებით, საქართველოს უკვე შეთანხმებული აქვს 10-წლიანი განვითარების გეგმა, რომელიც მნიშვნელოვანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და რეგიონების ერთმანეთთან უკეთესი ენერგეტიკული დაკავშირებისთვის.

— მნიშვნელოვანია ის ვალდებულებები, რომლებიც ჩვენ ენერგოგაერთიანებასთან მიერთებით ავიღეთ — უნდა შევქმნათ კონკურენტული გარემო და მოხდეს ბაზრის გახსნა. აღებული ვადითი ვალდებულებებით, ბაზრის გახსნა ხდება 2018 წელს, 2019 წელს გვექნება ელექტროენერგიის ახალი ბაზრის მოდელი და 2020 წელს გაზის ახალი ბაზრის მოდელი, — აღნიშნა პირველმა ვიცე-პრემიერმა.

მისივე განცხადებით, საქართველო უნდა გახდეს ჰაბი, სადაც მოხდება ელექტროენერგიით ვაჭრობა ისევე, როგორც დღეს ეს თურქეთში ხდება.

— უნდა შეიქმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა და კანონმდებლობა. ეს ყველაფერი შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ხელს შეუწყობს ახალი პროფესიების ჩამოყალიბებას, კერძო სექტორს მისცემს სწორად განვითარების საშუალებას, რათა სწორად დაგეგმოს როგორც ინვესტიციები, ასევე უკუგება, — განაცხადა ქუმსიშვილმა.

პირველმა ვიცე-პრემიერმა თავის გამოსვლაში ასევე ხაზი გაუსვა, რომ ენერგოეფექტურობა ჩვენს ქვეყანაში გამოიწვევს ახალი სამუშაო ადგილების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და ახალი სამშენებლო მასალების წარმოების სტიმულირებას.

— გეგმის სწორი იმპლემენტაციის შემთხვევაში, ჩვენ 2020 წლისთვის 350 მეგავატის შესაბამისი სიმძლავრის დაზოგვა შეგვეძლება, 2030 წლისთვის კი — 600 მეგავატის დაზოგვის შესაძლებლობა გვექნება. ამ მიმართულებით პარტნიორი საფინანსო ორგანიზაციები და გაერთიანებები ჩვენი მხარდამჭერები არიან, მათ შორის, ევროკავშირია ამ ინიციატივის პირველი მხარდამჭერი, საიდანაც ჩვენ მნიშვნელოვანი გრანტების მოლოდინები გვაქვს და ამაზე მიდის მოლაპარაკებები. ასევე სულ ახლახან დასრულდა მოლაპარაკება აზიის განვითარების ბანკთან 50 მილიონი დოლარის მიმართულებით, — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა.

## ეროვნული ბანკი მოქალაქეებს კრიპტოვალუტების გამოყენებისას სიფრთხილის გამოჩენას ურჩევს



საქართველოს ეროვნული ბანკი მოქალაქეებს კრიპტოვალუტების (ბიტკოინი, ეთირიუმი, რიპლი) თანმდევ რისკებზე აფრთხილებს.

— ბოლო პერიოდში მსოფლიოში ვირტუალური (კრიპტოგრაფიული) ვალუტები სულ უფრო პოპულარული ხდება. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული ბანკი მოქალაქეებს აფრთხილებს.

ვირტუალური ვალუტა საქართველოში არ წარმოადგენს გადახდის კანონიერ საშუალებას. მასთან დაკავშირებული საქმიანობა არ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და, შესაბამისად, ვირტუალური ვალუტა არ წარმოადგენს ეროვნული ბანკის რეგულირების სფეროს.

ვირტუალურ ვალუტასთან დაკავშირებით მხედველობაში მისაღებია შემდეგი გარემოებები:

— დღეს არსებულ ვირტუალურ ვალუტებს ახასიათებს ფასების დიდი მერყეობა, რაზეც, დიდი ალბათობით, გავლენას სპეკულაციური მოლოდინები ახდენს. ამდენად, ვირტუალური ვალუტების ფასების არასტაბილურობის გამო, მათი მომხმარებლები პოტენციური ფინანსური ზარალის წინაშე შეიძლება დადგნენ.

— ვირტუალური ვალუტების შემთხვევაში, არ არსებობს ცენტრალური ორგანო, რის გამოც მომხმარებელთა პრობლემების/დავების გადაჭრის პროცესი მნიშვნელოვნად იქნება გართულებული.

— ვირტუალური ვალუტებით ვაჭრობის მნიშვნელოვანი ნაწილი გაცვლითი პლატფორმების და ციფრული საფულეების საშუალებით ხდება, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაშია შექმნილი და მათი სამართლებრივი სტატუსი რიგ შემთხვევებში გაურკვეველია. აქედან გამომდინარე, მომხმარებლები, რომლებიც ასეთ პლატფორმებს იყენებენ სხვადასხვა ოპერაციების შესასრულებლად, შესაძლოა აღმოჩნდნენ როგორც სამართლებრივი, ასევე ფინანსური რისკების წინაშე. ამასთანავე, ასეთი პლატფორმები კიბერშეტევის პოტენციური სამიზნეა.

— ვირტუალური ვალუტის ანონიმურობა/ფსევდო-ანონიმურობა მიმზიდველს ხდის მას არაკანონიერი საქმიანობისთვის, მათ შორის ფულის გათეთრებისთვის.

ეროვნული ბანკი მოუწოდებს მოქალაქეებს, ვირტუალური ვალუტების გამოყენებისას გამოიჩინონ სიფრთხილე და მხედველობაში მიიღონ ზემოაღნიშნული გარემოებები, — ნათქვამია სებ-ის განცხადებაში.

## მამუკა ბახტაძე: „საბიუჯეტო დეფიციტის დაბალი მაჩვენებლის მიღწევა შესაძლებელი გახდა მიმდინარე ხარჯების შემცირებით"

ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, რომ საბიუჯეტო დეფიციტის დაბალი მაჩვენებლის მიღწევა უკავშირდებოდა არაერთ საკმაოდ რთულ, მაგრამ სწორ გადაწყვეტილებას. კერძოდ; „2016 წელთან შედარებით, ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები მშპ-სთან მიმართებაში 25,8%-იდან 24,4%-მდე შემცირდა, ეს ნიშნავს, რომ მცირდება მთავრობის ზომა. განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების მოცულობა, რომელიც მშპ-ს 5.2%-იდან 4.4%-მდე შემცირდა.

2016 წელთან შედარებით, მიმდინარე წელს, ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება ჯამში შეადგენს 140,0 მლნ ლარს, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურების შემცირება — 100,0 მლნ ლარი;
- ადმინისტრაციული შესყიდვების შემცირება— 40,0 მლნ ლარი.

მშპ-სთან მიმართებაში მიმდინარე ხარჯებისა და მთავრობის ზომის შემცირება გაგრძელდება მომდევნო წლებშიც და 2016 წელს არსებული მშპ-ს 25.8%-იდან 2021 წლისთვის 21%-ზე დაბალი იქნება. რეალურ გამოხატულებაში მთავრობის ზომა 20%-ით მცირდება, რის შედეგადაც გაიზრდება მთავრობის დანაზოგები და 2016 წელს არსებული მშპ-ს 2.6%-იდან 2021 წლისთვის 6.5%-ს მიაღწევს.

— აღსანიშნავია, რომ მთავრობის ზომის 21%-მდე ჩამოყვანა ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევაა. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებით ჩვენ ეს ამოცანა დავისახეთ და კონკრეტული ნაბიჯებიც გადავდგით მიზნის მისაღწევად, რასაც ადასტურებს 2018 წლის ბიუჯეტი, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ.



## ბიზნესისთვის საუკეთესო ქვეყნების სიაში საქართველო 52-ე ადგილზეა

Forbes ბიზნესისთვის საუკეთესო ქვეყნების ყოველწლიურ რეიტინგს აქვეყნებს. წლევანდელ რეიტინგში საქართველო 52-ე ადგილს იკავებს. საქართველოს პოზიცია წინა წელთან შედარებით 9 პოზიციით გაუარესდა.

Forbes აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკური აქტივობის მთავარი მამოძრავებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაა, მათ შორის თხილის, ციტრუსისა და ყურძნის. გამოცემა წერს, რომ საქართველო თითქმის სრულად ახორციელებს მოხმარებისთვის საჭირო ბუნებრივი გაზისა და ნავთობის იმპორტს. ამასთან, საქართველოს აქვს დიდი ჰიდრორესურსები, რომლითაც ელექტროენერგიის წარმოება ხდება.

— ჰიდროელექტროსადგურების რეკონსტრუქციით და რუსული გაზის აზერბაიჯანულით ჩანაცვლებით, საქართველომ გადალახა ქრონიკული ენერგოდეფიციტი და შეფერხებები ბუნებრივი გაზის მოწოდებაში, — წერს Forbes. გამოცემა აღნიშნავს, რომ 2006-2007 წლებში საქართველოს ეკონომიკა სწრაფი ტემპით იზრდებოდა, რაც 2008 წლის ომისა და გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე შენელდა.

2010-2016 წლებში ეკონომიკური ზრდა დაჩქარდა, თუმცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა სრულად არ გამოუმჯობესებულა, — წერს გამოცემა და აღნიშნავს, რომ საქართველოს საკმაოდ დადებითი შეფასება აქვს მიღებული მსოფლიო ბანკის მხრიდან საგადასახადო ლიბერალიზაციის კუთხით.

**სხვადასხვა კრიტერიუმებში საქართველოს პოზიციები შემდეგია:**

- ვაჭრობის თავისუფლება — მე-6 ადგილი
- მონეტარული თავისუფლება — 81-ე ადგილი
- საკუთრების უფლება — 88-ე ადგილი
- ინოვაციები — 117-ე ადგილი
- ტექნოლოგიები — 69-ე ადგილი
- ინვესტორების დაცვა — მე-2 ადგილი
- კორუფცია — 38-ე ადგილი
- პერსონალური თავისუფლება — 65-ე ადგილი
- საგადასახადო ტვირთი — 22-ე ადგილი.

## აკაკი ჩხაიძე: „საქართველოში ტვირთების გადაზიდვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა მოძველებულია"



საქართველოს სატრანსპორტო დარგების მიერ გადაზიდული ტვირთების მოცულობა ბოლო რამდენიმე წელია იკლებს. 2017 წლის 10 თვის მონაცემებით, სატრანსპორტო დარგებმა ჯამში 33.4 მლნ ტონა ტვირთი გადაზიდეს, 900.000 ტონით ნაკლები, ვიდრე შარშან. 2016 წლის ჯამურ მაჩვენებელზე მისაღწევად ნოემბერ-დეკემბერში საქართველოს დერეფანში არანაკლებ 8.9 მლნ ტონა ტვირთის გატარება უნდა მოხდეს. ზრდის ტრენდი აქვს საავტომობილო გადაზიდვებს. ამ გზით წლიურად, 0.3 მილიონით მეტი, 24.6 მლნ ტონა ტვირთის გადატანა მოხდა. სარკინიგზო გადაზიდვები 10 თვეში, 1.2 მილიონით, 8.8 მილიონამდეა შემცირებული.

საკონტეინერო გადაზიდვების 319.870 ერთეულამდე ზრდის მიუხედავად, კლებაა საზღვაო პორტებშიც, სადაც ჯამურად 13.5 მლნ ტონა ტვირთი მიიღეს და გაატარეს. მათ შორის ფოთის საზღვაო ნავსადგური 5.6 მლნ ტონა ტვირთს მოემსახურა (+0.4 მლნ), ბათუმის პორტის ტვირთბრუნვა 3.5 მილიონია (– 1.1 მლნ), ყულევის 1,4 მლნ, სუფსის ტერმინალის 3.1 მლნ (-0.4 მლნ).

როგორც საქართველოს რკინიგზის ყოფილმა ხელმძღვანელმა აკაკი ჩხაიძემ რადიო „კომერსანტის" გადაცემაში „პროფესიონალები" განაცხადა, ტვირთების შემცირება გამოწვეულია იმით, რომ ქვეყანას გადაზიდვებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა არ გააჩნია და რაც აქვს, მოძველებული.

— პირველ რიგში, ტვირთების მოზიდვაზე გარკვეული ჯგუფები 24 საათი უნდა მუშაობდნენ. ეს არის ძალიან რთული საქმე. სხვადასხვა ქვეყანაში სატენდერო ჯგუფები უნდა გვყავდეს. შემდეგ უკვე საჭიროა მოზიდული ტვირთების მომსახურება, ანუ მაღალი დონის სავაგონო პარკის შექმნა. 15 წლის წინ რაც გვყავდა, ახლა თითქმის მესამედია და არც განახლებულა. ასევე, არ განახლებულა საელმავლო პარკი 40 წელზე მეტია. ვაგონების ქარხანაში ვაგონების თავიდან ბოლომდე დამზადება და რკინიგზისთვის მომზადება არ ხდება. შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება აუცილებლად უნდა მოხდეს. წლების წინ ყველაფერს საქართველოში ვამზადებდით იმიტომ, რომ ხარჯი შემცირებულიყო. ახლა ხარჯები გაზრდილია, რადგან აქ არაფერი მზადდება, — აღნიშნავს ჩხაიძე.

მისივე თქმით, მინისტრთა კაბინეტში აუცილებლად უნდა იყოს გარკვეული ჯგუფი, რომელიც ტვირთების გატარების საკითხს გააკონტროლებს.

— მთავარი არის სატრანზიტო პოლიტიკა. ამის მიხედვით ტვირთებს თავისი დინამიკა აქვს. რეგიონში სატრანზიტო ქვეყნებმა ერთიანი სატარიფო პოლიტიკა უნდა შეიმუშაონ. თვითნებურად ტარიფის გაზრდა და შემცირება არავის უნდა შეეძლოს. გარდა ამისა, არის მეორე პრობლემა, არის ტვირთები, რომელსაც არ ატარებენ. შეიძლება ტრანსპორტის სამინისტრო არ იყოს, მაგრამ იყოს გარკვეული ჯგუფი მინისტრთა კაბინეტში, რომელიც ტვირთის გატარების საკითხებს კონტროლს გაუწევს. მაგალითად, თურქმენეთს უნდა საქართველოს საშუალებით ტვირთები გადაზიდოს, მაგრამ აზერბაიჯანი არ ატარებს. იმიტომ, რომ თავისი ნავთობი უნდა გაატაროს. ასეთი შემთხვევები რეგიონში არსებობს. ხელისუფლებების დონეზე უნდა მოხდეს მოლაპარაკებები, — აღნიშნავს საქართველოს რკინიგზის ყოფილი ხელმძღვანელი.

ამასთან, აკაკი ჩხაიძის შეფასებით, სახელმწიფომ აუცილებლად უნდა იზრუნოს ტვირთების მოზიდვის, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განვითარებაზე, თუმცა აქ რკინიგზის როლსაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

— საქართველოს რკინიგზის მაქსიმუმი არის 25 მილიონი ტონის გატარება წელიწადში. ამაზე მეტ ტვირთს, რაც არ უნდა განვავითაროთ, ვერ გავატარებთ. გვაქვს შესაძლებლობა, რომ 25 მილიონ ტონაზე ავიდეთ, ამისთვის სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ნაბიჯებია გადასადგმელი, თუმცა მას რკინიგზიდან გარკვეული მასალები უნდა მისდიოდეს, რომ შესაბამისი მოქმედების საშუალებები ჰქონდეს. ზოგადად ჩვენთვის ტრანზიტი და ტრანსპორტი პრიორიტეტი უნდა იყოს", — აცხადებს აკაკი ჩხაიძე.

## თბილისში სამარშრუტო ტაქსები 14 ქუჩაზე მხოლოდ გაჩერებებზე გააჩერებენ



თბილისის მერის, კახა კალაძის განცხადებით, ე.წ. ყვითელი სამარშრუტო ტაქსები 14 ქუჩაზე მხოლოდ მოსაცდელებთან გააჩერებენ. ამის შესახებ კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისივე განცხადებით, აღნიშნულთან დაკავშირებით გეგმა შსს-სთან უკვე შეთანხმებულია.

— ჩვენ ვთქვით, რომ შესაძლებელია გამოიყოს კონკრეტული რაიონები, კონკრეტული ქუჩები, სადაც მათ შეეძლებათ გაჩერება მხოლოდ და მხოლოდ გაჩერებებზე. ვიცი, რომ დამუშავებულია კონკრეტული გეგმა შს სამინისტროსთან და საპატრულო პოლიციასთან ერთად, რისთვისაც მინდა მათ მადლობა გადავუხადო. გამოყოფილია 14 ქუჩა, სადაც მიკროავტობუსებს, ყვითელ სამარშრუტო ტაქსებს ექნებათ შესაძლებლობა, მხოლოდ და მხოლოდ მოსაცდელებზე გააჩერონ. ამით თავიდან ავიცილებთ ძალიან დიდ პრობლემას იმასთან დაკავშირებით, რომ ნებისმიერ ადგილზე აჩერებენ მიკროავტობუსები და მგზავრები, რომლებიც ჩამოდიან, გადარბიან ქუჩებზე, რაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. საფრთხეს უქმნიან საკუთარ თავს და ასევე მძღოლებსაც. შესაბამისად, ეს ყველაფერი უნდა მოწესრიგდეს. ასევე ქმნიან საცობებს, როდესაც ხდება ყველა ადგილზე გაჩერება. ეს მიდგომა უნდა შეიცვალოს. ჩვენ განვახორციელებთ საპილოტე პროექტს, იქნება 14 ქუჩა, სადაც მხოლოდ გაჩერებებზე გაჩერდებიან. ეს გააცანით მოსახლეობას.

მინდა ვთხოვო ტრანსპორტის და კეთილმოწყობის სამსახურებს, რომ ამ 14 ქუჩაზე განახორციელოთ შესაბამისი ინფრასტრუქტურული სამუშაოები მოსაცდელების გასაფართოებლად, რომ ამ კონკრეტულ ადგილებზე საცობები მიზანმიმართულად არ შევქმნათ. ეს არის მოსაწესრიგებელი. ასევე მნიშვნელოვანია მოსახლეობის და ამ სამარშრუტო ტაქსების მძღოლების ინფორმირება, რაიმე დისკომფორტი რომ არ გამოიწვიოს მძღოლებსა და მოსახლეობაში, — განაცხადა კალაძემ.

# გიორგი გახარია: „ყველაზე მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ როგორ მოხვდნენ ახმედ ჩატაევი და მისი თანამზრახველები საქართველოში“

გიორგი გახარიას განცხადებით, პოლიციელები 2-ის ნაცვლად 3 ცვლით იმუშავებენ. შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ საპარლამენტო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე გამოსვლისას კრიმინალურ პოლიციაში განხორციელებულ ცვლილებაზე ისაუბრა. ასევე გახარიამ იმ მიმართულებებზე გაამახვილა ყურადღება, რაც კრიმინალური პოლიციის რეფორმირების კუთხით იგეგმება.

– შემიძლია გითხრათ ის, რაც ბევრ თქვენგანს გაუკვირდება: ერთი კვირის წინ, თბილისის კრიმინალურ პოლიციაში სულ ორი ცვლა იყო, რის გამოც ჩვენ ლეგიტიმურად შეგვიძლია ვისაუბროთ პოლიციის მუშაობის ხარისხზე, უფლებამოსილების გადამეტებაზე და ა.შ. მინდა წარმოვიდგინოთ პოლიციელი, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს მეორე მოქალაქის უსაფრთხოებაზე და თვის განმავლობაში 15 დღე, 24 საათი მუშაობს, რაც, უბრალოდ, ფიზიკურად შეუძლებელია. ამ ტიპის პრობლემების მოგვარების და ელემენტარული ხანძრების ჩაქრობის გარეშე, კრიმინალური პოლიციის ხარისხობრივ გაუმჯობესებაზე ლაპარაკი ზედმეტია. გარკვეული რესურსების მობილიზაციის გზით უკვე ვახერხებთ, რომ მივცეთ ამ ხალხს საშუალება, 3 ცვლით იმუშაონ და ვფიქრობ, ეს არის ის სწრაფი ნაბიჯები, რომელიც მოგვცემს საშუალებას, უახლოეს პერიოდში დავაბალანსოთ სიტუაცია და გადავიდეთ შინაარსობრივ რეფორმებზე, – განაცხადა გახარიამ.

* * *

– გპირდებით, რომ დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები როგორც ყოველთვიურად, ისე კვარტალურად გამოქვეყნდება. შინაგან საქმეთა სამინისტრო დანაშაულის სტატისტიკის გამოქ-




ვეყნებას აღადგენს, – შესაბამისი ვალდებულება საკუთარ თავზე შს მინისტრობის კანდიდატმა გიორგი გახარიამ პარლამენტში, რამდენიმე კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე მიიღო. მისივე შეფასებით, მონაცემების გამოქვეყნების შეწყვეტა არის ჩავარდნა უწყების მუშაობაში.

– სტატისტიკური მონაცემების ნაწილში, ეს არის ჩავარდნა. ვიღებ ჩემს თავზე ვალდებულებას და გპირდებით, რომ ჩაშლილი სტატისტიკური მონაცემები როგორც ყოველთვიურად, ისე კვარტალურად იქნება გამოქვეყნებული, – განაცხადა გახარიამ.

* * *

– ყველაზე მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ როგორ მოხვდნენ ახმედ ჩატაევი და მისი თანამზრახველები საქართველოში საქართველოს შს მინისტრობის კანდიდატის, გიორგი გახარიას განცხადებით, გაბრიელ სალოსის გამზირზე ჩატარებული სპეცოპერაციის გამოძიებაში ყველაზე მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ როგორ მოხვდნენ ახმედ ჩატაევი და მისი თანამზრახველები საქართველოში.

როგორც რამდენიმე კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე გახარიამ განაცხადა, მათი საქართველოში შემოსვლა საზღვრის დაცვის პოლიციის რეფორმირების საჭიროების ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია.

– არის დაწყებული კონკრეტული გამოძიება. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ როგორ მოხვდა ეს ხალხი აქ. საზღვრის დაცვის პოლიციის რეფორმირების საჭიროების ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტორია ესეც, – განაცხადა გახარიამ.

მისივე თქმით, ხდებოდა თუ არა იმ ბინაზე, სადაც ჩატაევი და მისი თანამზრახველები ცხოვრობდნენ, ოპერატიული მოქმედებები, ეს გამოძიების თემაა.

– რეალურად, ამ სპეცოპერაციის დროს ძირითადი ამოსავალი წერტილი იყო მოქალაქეების უსაფრთხოება. ამიტომ გაგრძელდა სპეცოპერაცია ამდენი ხნის განმავლობაში. ეს, რა თქმა უნდა, იყო ტრაგედია. თქვენ რომ შეადაროთ მსგავსი ოპერაციები ევროპის განვითარებულ ქვეყნებში ჩატარებულ სპეცოპერაციებს, საკმაოდ კარგად იყო ეს ყველაფერი გაკეთებული, – აღნიშნა გახარიამ.

# ოზურგეთის საჯარო სკოლის მასწავლებელს ძალადობაში ადანაშაულებენ

დაპირისპირება და ურთიერთბრალდებები ოზურგეთის საჯარო სკოლაში. მშობლები სკოლის მასწავლებელს, მასწავლებელი კი მშობლებს ძალადობაში ადანაშაულებენ.

სკოლის დირექტორი ამბობს, რომ კონფლიქტი რეალურად მეზობლებს შორის, სკოლის გარეთ დაიწყო, მოგვიანებით კი სასწავლო დაწესებულებაში გაგრძელდა. მშობლები, სკოლის პედაგოგებს ძალადობაში, ფულის გამოძალვის მცდელობასა და ბულინგში ადანაშაულებენ.

ქალაქ ოზურგეთის №5 (ანასეულის) საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს მშობლები ამავე სკოლის დირექციაში უჩივიან და მოითხოვენ ირინა მგელაძე-მუხაშავრიას სკოლიდან დათხოვას.

თავის მხრივ, პედაგოგი კი დირექციასა და მშობლებს ძალადობაში იქეთ ადანაშაულებს და პასუხს, პირიქით, ითხოვს.

რამდენიმე მშობელმა დირექციას ოფიციალური განცხადებით ამ დღეებში მიმართა, რომელშიც აღნიშნულია, რომ პედაგოგმა მეორე კლასის ბავშვებს მშობელთა კრებაზე სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

კერძოდ, ბავშვები მის შვილიშვილთან ძალადობაში, რომელიც მათი თანაკლასელია, დაადანაშაულა და ეს იმით ახსნა, რომ ამ ბავშვების ერთ-ერთი მშობელი პატიმარი იყო, ხოლო დედა მეზობელ ქვეყანაში, თურქეთში მუშაობს:

ამ ბავშვების მეურვე, დეიდა ნათია კაჭარავა, რომელიც განცხადებაზე ერთ-ერთი ხელმომწერია, ამბობს, რომ პედაგოგმა ეს ბავშვებს მშობელთა კრებაზე საჯაროდ განუცხადა.

კაჭარავა ამბობს, რომ ამ პედაგოგის მხრიდან მოსწავლეებზე თავდასხმა პერიოდულად ხდება, ამას სისტემატიური ხასიათი აქვს და სკოლის დირექციას რეალური ზომების მიღებისაკენ მოუწოდებს.

სკოლის დირექტორი, ქეთევან ქადიეშვილი ამბობს, რომ ეს მეზობლური კონფლიქტია, რომელმაც სკოლაშიც გადმოინაცვლა.

ის ადასტურებს, რომ განცხადება დირექციაში შესულია და უახლოეს დღეებში სადისციპლინო კომისიის სხდომა გაიმართება, რომელიც ამ საკითხზე იმსჯელებს.

მომხდარს იხსენებს ამავე სკოლის მეორე კლასის დამრიგებელი ნატა გობრონიძე, რომელ კლასშიც სწავლობენ როგორც ნათია კაჭარავას მეურვეობის ქვეშ მყოფი ბავშვები, ასევე პედაგოგ ირინა მგელაძე-მუხაშავრიას შვილიშვილი:



– ჩემთან მოვიდნენ ბავშვები და მითხრეს სიტყვა, ძალიან უწმაწური, ვერ გავიმეორებ, რომელიც მათ მისმა თანაკლასელმა უწოდა, მე დავუძახე ბავშვს და მივეცი სიტყვიერი შენიშვნა, ეს იყო და ეს, სხვა მეტი არაფერი არ მომხდარა. გვქონდა მშობელთა კრება, სადაც შემოვარდა ჩემი კოლეგა, ქალბატონი ირინა მგელაძე-მუხაშავრია და მოხდა სიტყვიერი შელაპარაკება მასა და მშობლებს შორის, – იხსენებს მომხდარს კლასის დამრიგებელი. თუმცა, თუ რა სიტყვები ეძახა პედაგოგმა მშობლებს, ამაზე არ საუბრობს.

თავის მხრივ, ირინა მგელაძე პირიქით, განცხადების ავტორების შვილებს მისი შვილიშვილზე ძალადობაში, ფულის გამოძალვის მცდელობაში, ხოლო პედაგოგ ნატა გობრონიძეს ასევე მისი შვილიშვილის ბულინგში ადანაშაულებს.

მათემატიკის პედაგოგი მიიჩნევს, რომ ძალადობის მსხვერპლი მისი შვილიშვილია და ეს ყველაფერი მის წინააღმდეგ დადგმული სპექტაკლია, რომლის უკანაც სკოლაში არსებული ერთი ჯგუფი დგას.

მუხაშავრიას ქალიშვილი, პროფესიით ფსიქოლოგი, ბავშვის დეიდა ნონა ბერიძე კი ამბობს, რომ ბავშვი რამდენიმე დღეა, ძალადობის გამო, რომელიც სკოლაში ხორციელდება, საჯარო დაწესებულებაში არ დადის. ბავშვის ამბავი არც სკოლის დირექციას და არც კლასის დამრიგებელს არ უკითხავს.

– ბავშვი ვნახე ურთულეს მდგომარეობაში, მეტყველება დაკარგული. აბსოლუტურად ვერ მეტყველებდა, კანკალებდა, თითები ჰქონდა დაჭმული. პირველი, როდესაც დამინახა ბავშმა, მითხრა ასეთი რაღაცა, დეიდა, მე არ შემიგინებია. დავამშვიდე, ვუთხარი, მომიყევი რა მოხდამეთქი და მასწავლებელმა კიდევ ერთხელ მთხოვა მელიარებინა ის დანაშაული, რაც არ ჩამიდენია. ეს მოხდა არაერთხელ, მე სკოლაში არ წავალ, – გვიყვება მოსწავლის დეიდა.

მანამ, სანამ მხარეები ძალადობაში ერთმანეთს ადანაშაულებენ, აღნიშნულ სკოლაში საქმის გარჩევები და სიტყვიერი დაპირისპირებები როგორც პედაგოგებს, ასევე მშობლებს შორის, ჩვეულებრივ ამბად იქცა.

## სისხლიანი გარჩევა „თავისუფლებაზე“ — მოზარდის დაჭრაში ბრალდებულიც არასრულწლოვანია

„ნიუპოსტის“ ინფორმაციით, რუსთაველზე დაჭრილი არასრულწლოვანის მ.მ-ის დაჭრაში ბრალდებული იდენტიფიცირებულია.

დაუდასტურებელი ინფორმაციით, ბრალდებული ასევე არასრულწლოვანია, თუმცა ამასთან დაკავშირებით შს სამინისტროში ოფიციალურ განცხადებას არ აკეთებენ.

„ნიუპოსტის“ ინფორმაციით, ძველი თბილისის მთაწმინდის რაიონულ პოლიციაში მეტროსადგურ „თავისუფლების მოედნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გუშინ მომხდარი დაჭრის თვითმხილველთა ნაწილი უკვე გამოკითხეს.

„თავისუფლების მოედანთან“ მოზარდი 20 დეკემბერს დაჭრეს. მოზარდს გულმკერდის არეში ცივი იარაღით 4 ჭრილობა აქვს მიყენებული. ის რეანიმაციულ განყოფილებაში მართვით სუნთქვაზე იმყოფება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფაქტზე გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით დაიწყო. ჯერჯერობით დაკავებული არავინაა.

თვითმხილველები „ნიუპოსტს“ უყვებიან, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ბაღში მომხდარ ინციდენტს წინ ურთიერთშელაპარაკება უძღოდა.

დაჭრილი 15 წლის მოზარდი ვარკეთილში ცხოვრობს და კერძო სკოლის – „ოქროს აკვანი“ მოსწავლეა.

– უკომფლიქტო ბიჭია, პირიქით, როდესაც უთანხმოების მომსწრე გამხდარა, ყოველთვის ცდილობდა სიტუაცია განემუხტა და მხარეებს შერიგებისკენ მოუწოდებდა. ამიტომ გამოვრიცხავთ, ამ ამბავში ჩვენი რომელიმე სკოლელი ან კლასელი მონაწილეობდეს, – აცხადებს აჭრილის კლასელი.

## შს სამინისტრომ „საქართველოს ბანკის“ ვარკეთილის ფილიალის დაყაჩაღების ფაქტზე ორი პირი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ორი პირი: 1984 წელს დაბადებული ლ.ს. და 1990 წელს დაბადებული გ.გ., ყაჩაღობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ს პრესსამსახურიდან აცნობეს, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები თბილისში, ქინძმარაულის ქუჩაზე მდებარე „საქართველოს ბანკის“ ექსპრეს ფილიალში შეიჭრნენ, მოლარე-ოპერატორს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით 3.900 ლარი გასტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ლ.ს.-ს და გ.გ.-ს მიერ ჩადენილი დანაშაული რვიდან თორმეტ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ გატაცებული თანხის ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

## იუმორისტ დავით როსტომაშვილის ვაჟი სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა

მსახიობ დავით როსტომაშვილის შვილი, ბრალდებული გიორგი როსტომაშვილი და კიდევ ერთი ბრალდებული ნიკოლოზ მჭედლიანი პატიმრობიდან გათავისუფლდნენ. ორივე ბრალდებული სასამართლოს დარბაზიდან გათავისუფლდა.

გიორგი როსტომაშვილი და ნიკოლოზ მჭედლიანი ყაჩაღობისა და ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

## ავარია ბათუმში — დაშავებულია 21 წლის ახალგაზრდა

ბათუმში, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 21 წლის მამაკაცი დაშავდა. ერთმანეთს მსუბუქი ავტომობილები შეეჯახნენ. ახალგაზრდა მამაკაცს დაზიანება თავის არეში აქვს მიყენებული. შემთხვევა აბუსერიძის ქუჩაზე, 20 დეკემბერს დილით მოხდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ავტოსაგზო მოძრაობისას წესების დარღვევას გულისხმობს.

## ქუთაისში ყაჩაღობის დროს ბოროტმოქმედებმა 16 წლის ბიჭი დაჭრეს

ქუთაისში, აიდანოვების ოჯახში სამი ნიღბიანი პირი შეიჭრა. ბოროტმოქმედებმა იარაღიდან გაისროლეს და 16 წლის ოჯახის წევრი ფეხში დაიჭრეს, რომელიც საავადმყოფოშია მოთავსებული.

„ნიუპოსტი“ დეტალებს შინაგან საქმეთა სამინისტროში არკვევს.

## ავარია გურიაში — დაშავებული 15 წლის მოზარდი გარდაიცვალა

15 წლის მოზარდი, რომელსაც საბურავი მოხვდა, საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ავტოსაგზაო შემთხვევა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიანში რამდენიმე წუთის წინ მოხდა.

თვითმხილველთა თქმით, სატვირთო ავტომობილს საბურავი მოძვრა და ბავშვს, მოზარდს დაეჯახა.

## სენაკში სატვირთო ამოტრიალდა და მძღოლი მანქანის ქვეშ მოყვა

სენაკის რაიონის სოფელ ზანაში ღორღით დატვირთული სატვირთო მანქანა ამოტრიალდა, მძღოლი მანქანის ქვეშ მოყვა და გარდაიცვალა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით აღიძრა, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.


## მალამო „მენტორი პირველი“

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

### სითხე მენტორი — 4

**დაზიანებული თავის კანის შესაზელი სითხე მენტორი 4. წამალი იცავს თავს გამელოტებისაგან. გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: თავის კანის სოკოვანი დაავადება, ქავილი, ქერტლი, ყურის ქავილი, სებორია.**

**გამოყენების წესი: თავის დაბანის შემდეგ თმა უნდა გაიმშრალოთ და სითხე მენტორი 4 უნდა შეიზილოთ თმის ძირებში. ის აღადგენს დაზიანებულ თავის კანს, ქრება ქავილი, ქერტლი, აწყნარებს თავის კანს და ამაგრებს თმის ძირებს.**

☎ 599-73-48-21

# ტრამპი მეის ტელეფონით ესაუბრა



შედგა დონალდ ტრამპისა და ბრიტანეთის პრემიერ ტერეზა მეის სატელეფონო საუბარი. მისი ძირითადი თემა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა იყო.

მეიმ შენიშნა, რომ ტრამპის მიერ იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარების შემდეგ ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობა დაიძაბა. ტრამპმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ საჭიროა ახალი სამშვიდობო ინიციატივები, რათა ყველა სადავო საკითხი მშვიდობიანი დიალოგის გზით მოგვარდეს.

# ბრიტანეთში ტერორისტები დააკავეს




ბრიტანეთის პოლიციამ სამხრეთ იორკშირში ტერორისტების ოთხკაციანი ჯგუფი დააკავა.

ისინი შობის დღესასწაულზე ტერაქტების მოწყობას აპირებდნენ.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

# რუსეთის უშიშროებამ ნორვეგიის მოქალაქე დააპატიმრა




რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურმა (ფსბ) ნორვეგიის მოქალაქე ფრუდე ბერგი დააკავა. მას აშშ-ის სასარგებლოდ ჯაშუშობა ბრალდება.

ფრუდე ბერგი რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტზე საიდუმლო ცნობებს აგროვებდა. ამ მიზნით ის რუსეთის მოქალაქე ჟიტიუკს შეხვდა. ფსბ-ს თანამშრომლებმაც სწორედ ამ მომენტში დააკავეს.

# გაერო: „ყირიმი უკრაინას ეკუთვნის“



გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ყირიმთან დაკავშირებით რეზოლუცია მიიღო. მასში ნათქვამია, რომ რუსეთის ფედერაციამ ნახევარკუნძულის ოკუპაცია-ანექსია მოახდინა, დაამყარა იქ უკანონო რეჟიმი, რომ ყირიმში ირღვევა ადამიანის უფლებები და ა.შ.

დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ნახევარკუნძულზე ილახება ყირიმელ თათართა უფლებები, აკრძალულია ყირიმელ თათართა მეჯლისი და ა.შ.

რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ყირიმელ თათრებს რუსეთის მოქალაქეობა უკანონოდ მიანიჭეს. ასევე უკანონოა ნახევარკუნძულზე რუსეთის იურისდიქციის გავრცელება.

რუსეთის წარმომადგენელი ამ დოკუმენტს მიუღებელს უწოდებდა და ვეტოს გამოყენებით იმუქრებოდა. მიუხედავად ამისა, მან ვეტო არ გამოიყენა. დოკუმენტს მხარი 70-მა ქვეყანამ დაუჭირა, წინააღმდეგ 26 სახელმწიფო წავიდა, მათ შორის რუსეთი, ბელორუსი, ბოლივია, ვენესუელა, ყაზახეთი, ჩრდილოეთ კორეა, კუბა და ა.შ. 76-მა ქვეყანამ თავი შეიკავა.

– ეს მართლაც ისტორიული რეზოლუციაა! საერთაშორისო სამართალმა ხმამაღლა განაცხადა, რომ ყირიმი უკრაინის კუთვნილებაა, – თქვა პეტრო პოროშენკომ.

# იემენელმა პარტიზანებმა საუდის არაბეთის დედაქალაქს რაკეტები დაუშინეს




იემენში ანტიტერორისტული ოპერაცია გრძელდება. ადგილობრივ პარტიზანებს საუდის არაბეთის ეგიდით შექმნილი ანტიტერორისტული კოალიცია დაუპირისპირდა. თანახმად საუდის არაბეთის მედიის ცნობისა, პარტიზანებმა საუდის არაბეთის დედაქალაქ ელ რიადის მიმართულებით რაკეტები გაუშვეს.

– ყველა მათგანი ჩვენმა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემამ ჩამოაგდო, – ამტკიცებენ საუდელები.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ამერიკული ოჯახი სრული შემადგენლობით ტრანსგენდერი გახდა

ამერიკის არიზონას შტატში ოჯახი, რომელიც ოთხი წევრისგან შედგება, ტრანსგენდერი გახდა.

ორი შვილის დედა, 41 წლის ქალბატონი, ახლა უკვე ტრანსგენდერი მამაკაცია და დენიელ ჰეროტის სახელს ატარებს. მისი მეუღლეა 62 წლის შირლი ოსტინი, რომელიც ადრე მამაკაცი იყო.



მათი ქალიშვილი, 13 წლის ჯოშუა, ბიჭად დაიბადა. ბიოლოგიური დედის თქმით, ჯოშუამ თავი გოგონად ექვსი თუ შვიდი წლის ასაკიდან იგრძნო.

ასევე ოჯახის წევრია 11 წლის ბიჭი მეისონი, რომელიც გოგონად იყო დაბადებული.

ამ დროისთვის ოჯახის ყველა წევრი ე.წ. ტრანსგენდერულ გარდამავალ სტადიაში იმყოფება. გავრცელებული ინფორმაციით, ოჯახში ასევე ცხოვრობს ორი ძაღლი, თუმცა მათი გენდერული იდენტურობის თაობაზე არაფერია ცნობილი.

## ამერიკელებმა მასტურბაციის მავნე ზეგავლენა დაამტკიცეს

მასმედიაში გავრცელდა მორმონელი მქადაგებლებისთვის განკუთვნილი მეთოდური მითითებები, რომელშიც მტკიცდება, რომ მასტურბაციამ შესაძლოა ადამიანი ჰომოსექსუალიზმამდე მიიყვანოს.



ეს ნაშრომი 1981 წელს გამოიცა და მას რელიგიური მქადაგებლები დღემდე იყენებენ.

– მასტურბაციის ადრეული გამოცდილება ადამიანში სექსუალურ აზრებს აჩენს, რომელმაც ის შესაძლოა ჰომოსექსუალიზმამდე მიიყვანოს, – ნათქვამია მეთოდურ ნაშრომში.

ამ მტკიცებულების არგუმენტად მოჰყავთ ის ფაქტი, რომ პრაქტიკულად ყველა გეი ონანიზმითაა დაკავებული. იმისთვის, რომ მასტურბაციაზე უარი თქვან, ადამიანებს ურჩევენ, რელიგიური წიგნები იკითხონ და ფიზიკური ვარჯიშით დაკავდნენ.



## კატა ბატონმა კუების გაქცევა აღკვეთა

კატამ, სახელად ბატონმა, ორი გიგანტური კუს ირკუტსკის კერძო ზოოპარკიდან გაქცევა აღკვეთა.

კუების სახელად შრეკისა და ფიონის ორჯერ გაქცევის მცდელობის თაობაზე „ირკუტსკის ზოოგალერიის“ თანამშრომლებმა სოციალურ ქსელებში გაავრცელეს ინფორმაცია. თავდაპირველად რეპტილიებმა ვოლიერის მინის კედლის გატეხვა მოახერხეს. მის ადგილზე დაწესებულების თანამშრომლებმა დროებით ფიცრებიააკრეს. რა დროსაც თანამშრომლებს კუებზე შეჯდომა მოუხდათ, რათა მათთვის გაქცევის საშუალება არ მიეცათ.

თუმცა რამდენიმე საათის შემდეგ კუებმა ისევ გაანგრიეს წინაღობა და ისევ შეეცადნენ გაქცეულიყვნენ. ამჯერად მათ ხელი კატა ბატონმა შეუშალა, რომელმაც მათი ყურადღების მიპყრობა მოახერხა. ზოოპარკის თანამშრომლების თქმით, ისინი რეპტილიებისთვის ახალი, უფრო მყარი საცხოვრებლის აშენებას აპირებენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით ..

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამადანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ძიუდოისტებმა რეიტინგი მოიმაგრეს

რუსეთის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში დასრულებული მასტერსის შემდეგ ძალიან ცოტა დააკლდა 3 ქართველ ძიუდოისტს, რათა წელი თავიანთ წონებში პირველ ნომრად დაესრულებინათ. ეს კი 50.000 დოლარის გარანტი იყო, რომელსაც ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია წონებში მოწინავეებს წლის ბოლოს აძლევს.

დავიწყოთ მძიმე წონით: მასტერსის ოქროს მედლის მფლობელმა გურამ თუშიშვილმა სანკტ-პეტერბურგში 1.800 ქულა გამოიმუშავა, ჯამში 4.580 ქულა მოაგროვა. ამ შედეგით მსოფლიოს საუკეთესო ძიუდოისტს, ფრანგ ტედი რინერს, რომელიც ამ მასტერსზე არ მონაწილეობდა, კი გადაასწრო, მაგრამ ბრაზილიელ დავიდ მოურას (5.710 ქულა) ჩამორჩება. შეგახსენებთ, ფინალში თუშიშვილმა სწორედ მოურას მოუგო. არადა, ბრაზილიელი ნახევარფინალში რომ არ გასულიყო, თუშიშვილი რეიტინგში პირველი იქნებოდა.



მძიმე წონაშივე ადამ ოქრუაშვილი 1.930 ქულით მე-15 ადგილზე იმყოფება, ლევან მატიაშვილი კი 1.377 ქულით 23-ეა.

კიდევ უფრო ნაკლები დააკლდა პირველ ნომრამდე 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ვარლამ ლიპარტელიანს. ლიპარტელიანი (4.732 ქულა) მცირედით ჩამორჩება ჰოლანდიელ მიხაელ კორელს (4.836 ქულა), რომელსაც სანკტ-პეტერბურგის ტურნირის ფინალში მოუგო. კორელს რომ ფინალი არ ეჭიდავა და ნახევარფინალში დამარცხებულიყო, რეიტინგლიდერი ქართველი ძიუდოისტი იქნებოდა.

რეიტინგ-ლიდერი იქნებოდა 90 კილოგრამ წონაში მოჭიდავე ბექა ღვინიაშვილიც, სერბ ალექსანდრ კუკოლს მე-3 ადგილისთვის ბრძოლა რომ წაეგო. ღვინიაშვილი (4.150 ქულა) ოდნავ ჩამორჩება კუკოლს (4.418 ქულა).

81 კილოგრამ წონით კატეგორიაში 3 ადგილი დათმო და მე-11 საფეხურამდე დაქვეითდა ზებედა რეხვიაშვილი (2.368 ქულა), რომელმაც მასტერსზე პირველივე ორთაბრძოლა დათმო.

სანკტ-პეტერბურგში კვარცხლბეკზე ასვლა მოახერხა ლაშა შავდათუაშვილმა (73 კგ.). ახლა ქართველ მოჭიდავეს 3.722 ქულა გაუხდა და მე-5 პოზიციამდე აღზევდა.

სამეულში რჩება ვაჟა მარგველაშვილი (66 კგ.), რომელმაც მასტერსზე ბრინჯაოს მედლის მოპოვება მოახერხა. ვაჟა 4.251 ქულით მე-3 ადგილზეა, წინ კი იაპონელი ჰიფუმი აბე (4.500 ქულა) და ებრაელი ტალ ფლიკერია (4.382 ქულა) რჩებიან.

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩვენებურთაგან საუკეთესო შედეგი კვლავაც ამირან პაპინაშვილს (3.363 ქულა) აქვს, რომელიც 3 ადგილით დაქვეითდა და ამჟამად, მე-7 პოზიციაზე იმყოფება.

# ჟურნალისტთა ასოციაცია წლის საუკეთესო სპორტსმენს 28 დეკემბერს დაასახელებს

სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში წლის საუკეთესო სპორტსმენის დაჯილდოების შესახებ პრესკონფერენცია გაიმართა.

პრესკონფერენციაზე ისაუბრეს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა მიხეილ აბაიშვილმა და გენერალურმა მდივანმა ზურაბ თალაკვაძემ.




აბაიშვილმა მადლობა თანამშრომლობისთვის გადაუხადა კომპანია „ლიდერ ბეთს“, რომლის უშუალო ხელშეწყობით გაიმართება საუკეთესო სპორტსმენის დაჯილდოების ცერემონიალი. როგორც ასოციაციის პრეზიდენტმა აღნიშნა, უკვე ცნობილია 3 საუკეთესო სპორტსმენის ვინაობა, მაგრამ 28 დეკებრამდე მისი გამოცხადებიდან თავს შეიკავებს. თუმცა, გულისტკივილით აღნიშნა, რომ საუკეთესო სპორტსმენებში მხოლოდ მამაკაცები ფიგურირებენ, ამიტომ მომავალი წლიდან აუცილებლად იქნება 2 ნომინაცია – საუკეთესო სპორტსმენი მამაკაცი და საუკეთესო სპორტსმენი ქალი. ამით ხაზი გაუსვა გენდერული თანასწორობის ბალანსს.

თალაკვაძის თქმით, „ლიდერბეთის“ გარდა დაჯილდოებას სხვა ბევრი პარტნიორი ჰყავს. საუკეთესო სპორტსმენის დაჯილდოება კი 28 დეკემბერს „ბირ თაიმში“ გაიმართება, ღონისძიების წამყვანი კი მანიკა ასათიანი იქნება. რაც შეეხება მთავარ ჯილდოს, მასზე ირაკლი წულაძემ იმუშავა.

# ნეიმარმა მბაპე პსჟ-ში წაიყვანა და თავად რეალში მიდის




საფეხბურთო სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელად კილიან მბაპე მიიჩნევა და არცთუ ტყუილად. მბაპემ თავისი კვალი ჩემპიონთა ლიგაზე ფრანგული მონაკოდან დატოვა, ხოლო ახლა ჩინებულად ირჯება ასევე ფრანგულ პსჟ-ში.

18 წლის მბაპეს მონაკოდან პსჟ-ში გადასვლაზე თურმე დიდი წვლილი ნეიმარს მიუძღვის. ამის შესახებ თავად მბაპე საუბრობს.

**კილიან მბაპე:**

– ნეიმარს ძალიან უნდოდა, რომ პსჟ-ში გადავსულიყავი. ბრაზილიელი დღეში რამდენჯერმე მირეკავდა და მეუბნებოდა, რომ მელოდებოდა. მიგზავნიდა უამრავ ტექსტურ შეტყობინებას, მწერდა, რომ პსჟ-ში მის გვერდით უნდა მეთამაშა. სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ცოტა ხნით ადრე კი დამირეკა და მკითხა, ბოლოს და ბოლოს, როდის მოდიხარო. ვეუბნებოდი, რომ მზად ვიყავი, მაგრამ ტრანსფერი იწელებოდა. სიმართლე გითხრათ, ძალიან ვნერვიულობდი. არ მინდოდა, ნეიმარს ეფიქრა, რომ ვატყუებდი.

საბოლოოდ, მონაკო და პსჟ ასეთ რამეზე შეთანხმდნენ: მბაპე პარიზში არენდის წესით გადავიდა, ზაფხულში კი სრულფასოვანი პარიზელი გახდება, მონაკო კი 180 მილიონ ევროს მიიღებს.

კითხვაზე, რამდენ ხანს აპირებს პსჟ-ში თამაშს, კილიან მბაპე ასე პასუხობს – სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, სად ვითამაშებ 2 წლის შემდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ დიდი შანსია, მბაპემ პსჟ მალევე დატოვოს.

საფრანგეთის ნაკრების 18 წლის ვარსკვლავი გულახდილად ამბობს, რომ მოვლენების ასეთ სწრაფ განვითარებას არ ელოდა:

– რა თქმა უნდა, გარკვეული გეგმები მქონდა, მაგრამ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ ყველაფერი ასე სწრაფად მოხდებოდა. ზაფხულის ამბების შემდეგ უკვე ვიცი, რომ ფეხბურთში არასდროს არაფერი უნდა გამორიცხო და წინასწარ არაფერზე უნდა ილაპარაკო.

შეგახსენებთ, რომ ნეიმარს პსჟ-ში ბევრი განსაკუთრებული პრივილეგია აქვს და მბაპეს მოთხოვნაც პრობლემა არ იქნებოდა. მეტიც, ნეიმარმა ახლახან კლუბის ბოსებს ახალი მოთხოვნაც წაუყენა.

ბრაზილიელს უნდა, რომ თვითონ განსაზღვროს, რომელ მატჩში ითამაშებს და რამდენ წუთს გაატარებს მოედანზე!

ამის გამო ნეიმარსა და პსჟ-ს მთავარ მწვრთნელ უნაი ემერის დაძაბული ურთიერთობა აქვთ – ბრაზილიელი მწვრთნელს არ ემორჩილება და მისგან კრიტიკას არ იღებს. როგორც ირკვევა, სანაკრებო პაუზის წინ მან ტრავმა მოიმიზეზა და ანჟერთან (5:0) არ ითამაშა.

ბრაზილიელს პარიზელებთან კონტრაქტი 2022 წლამდე აკავშირებს, მაგრამ მისი მოთხოვნების ფონზე, არაა გამორიცხული, რომ ნეიმარს პსჟ-დან წასვლა უფრო ადრე სურდეს. ესპანური მედიის ინფორმაციით, მას 2019 წლიდან მადრიდის რეალში სურს თამაში.

# პეპ გვარდიოლა: „თანამედროვე ფეხბურთში ბევრი მაღალი დონის მოთამაშეა“

მანჩესტერ სიტის თავკაცმა, პეპ გვარდიოლამ მედიასთან საუბარში საკმაოდ საინტერესო კომენტარი გააკეთა თანამედროვე ფეხბურთთან დაკავშირებით.



კატალონიელის თქმით, თანამედროვე ფეხბურთში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა, რამაც თავის მხრივ ფეხბურთელის მიმართ მოთხოვნები გაზარდა.

გვარდიოლას 3 საუკეთესო მოთამაშის დასახელებაც სთხოვეს, თავდაპირველად პეპმა განაცხადა, რომ თანამედროვე ფეხბურთში ძალიან ბევრი მაღალი დონის ფეხბურთელი მოღვაწეობს, თუმცა ესპანელმა მაინც გამოყო ის 3 მოთამაშე, რომელთანაც ურთიერთობა კარიერის სხვადასხვა ეტაპზე ჰქონდა.

**პეპ გვარდიოლა:**

– ჩემთვის ლეო მესი, რობერტ ლევანდოვსკი და კევინ დე ბრუინი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები არიან, თითოეულ მათგანთან მუშაობის გამოცდილება მაქვს და კარგად ვიცი, რა შეუძლიათ მათ.

შეგახსენებთ რომ პეპის, როგორც მწვრთნელის ურთიერთობა ლეო მესისთან დაიწყო და თამამად შეიძლება ითქვას, რომ კატალონიელს არგენტინელი ფეხბურთელის მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის.

პეპის ბარსელონური ეპოქის დასრულებამ გარკვეული პერიოდის შემდეგ მიუნხენულის დაწყება გამოიწვია, გვარდიოლამ ბავარიულ კლუბში რობერტ ლევანდოვსკი დაიმატა და ცენტრ-ფორვარდის პრობლემა დიდი ხნის განმავლობაში მოაგვარა. პოლონელი მოთამაშე ბაიერნისთვის შეუცვლელი ფიგურა გახდა და გუნდის თითოეული წარმატების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო.

გერმანიაში ყოფნის დროს გვარდიოლა ხშირად აღნიშნავდა იმას, რომ რობერტი მოედნის გარეთაც პროფესიონალი სპორტსმენი იყო, რაც მისი წარმატების მთავარი მიზეზი იყო.

ახლა კი პეპი მანჩესტერ სიტის მთავარი მწვრთნელია, იმ გუნდის, რომლის უდავო ლიდერი ბელგიელი კევინ დე ბრუინია. კევინმა ბრიტანულ ფეხბურთს ალღო ძალიან ადვილად აუღო და დღეს არათუ ინგლისის, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო შუახაზელია.

# კოუტინიო ბარსელონას მიუახლოვდა




ლივერპულის ბრაზილიელმა შემტევმა ფილიპე კოუტინიომ ბარსელონასთან ტრანსფერი შეათანხმა და იანვარში კლუბს დატოვებს.

კატალონიელებს ძალიან სურთ ბრაზილიელი ნახევარმცველის შეძენა და მერსისაიდელებს მის სანაცვლოდ 135 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზეს.

ინგლისელებმა მათი წინადადება გასულ ზაფხულს 3-ჯერ უარყვეს, თუმცა, როგორც ჩანს, კატალონიელები დანებებას არც ამჯერად აპირებენ და ფეხბურთელის სანაცვლოდ კოლოსალურ თანხასაც ჩამოდიან.

ლივერპულთან ერთად კი, ნოუ კამპის მკვიდრები მოლაპარაკებებს თავად ფეხბურთელთანაც აწარმოებენ გასამრჯელოს თაობაზე.

ესპანური მედიის ცნობით, ბარსელონასა და კოუტინიოს წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებები კონტრაქტის თაობაზე ზაფხულის შემდგომ მიმდინარეობს.

წყაროს ცნობით, კოუტინიოს წარმომადგენლება შეძლეს კატალონიელთა დათანხმება 10.6 მილიონ გირვანქა სტერლინგის წლიურ გასამრჯელოზე, რაც კვირაში დაახლოებით 200.000 გირვანქას შეადგენს.

შეგახსენებთ, რომ კოუტინიომ ტრანსფერზე დაყენება გასულ ზაფხულს მოითხოვა, რათა ბარსელონაში გადასულიყო, თუმცა ლივერპულმა მის გაყიდვაზე უარი განაცხადა.

6 თვის შემდგომ კი, როგორც ჩანს, მერსისაიდულმა კლუბმა მიდგომა შეარბილა და შესაძლოა ფეხბურთელი გაყიდოს.

ესპანური მედიის ცნობით, ტრანსფერი უახლოეს დღეებში დასრულდება.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# თელიასონერაში უარყოფენ, რომ ჯეოსელი ყაზახურ კომპანიას მიჰყიდეს




„ჯეოსელი არ გაყიდულა," – ასე უპასუხეს ნეტგაზეთის შეკითხვას კომპანია „თელიასონერაში". როგორც „ნეტგაზეთს" თელიასონერაში განუცხადეს, კომპანიის საკუთრებაში ამ დრომდე რჩება „ფინტურ ჰოლდინგის" წილი, რომლის მფლობელობაშიცაა ჯეოსელი. ჰოლდინგის წილის 58.55 პროცენტი თელიასონერას ეკუთვნის, დარჩენილი 41.45% კი „თურქსელის" საკუთრებაშია.

ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თელიასონერას მფლობელობაში არსებული ჰოლდინგის შეძენით, რომელშიც ჯეოსელიც შედის, ყაზახური სახელმწიფო კომპანია „ყაზახ ტელეკომია" დაინტერესებული, ქართული მედიასაშუალებების ნაწილმა გაავრცელა. როგორც ისინი მიუთითებენ, შვედური მედიაში ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით გამოქვეყნდა ეს ინფორმაცია.

ევრაზიის რეგიონის დატოვების შესახებ გადაწყვეტილება შვედურმა კომპანია „თელიასონერამ" ჯერ კიდევ 2015 წლის სექტემბერში მიიღო. ამის შესახებ ინფორმაცია. ამ კომპანიის ვებ-გვერდზეცაა გამოქვეყნებული. კომპანია, რომელიც ევრაზიის მასშტაბით, ყახაზეთში, საქართველოში, აზერბაიჯანში, უზბეკეთში, ტაჯიკეთში, მოლდოვაში, ნეპალსა და რუსეთში ოპერირებდა, ბაზრის დაბალი პოტენციალის და არასტაბილური პოლიტიკური გარემოს გამო დატოვებას გეგმავდა. ამ მიზეზების გამო კომპანიამ 2016 წელს ნეპალი დატოვა, 2017 წელს კი – ტაჯიკეთი.

„როიტერსის" ცნობით, ნორდიკული სატელეკომუნიკაციო კომპანია იმედოვნებს, რომ წლის ბოლომდე აზერბაიჯანში, ყაზახეთში, საქართველოსა და მოლდოვაში საქმიანობას შეწყვეტს.

# ადვოკატი: „შილდაში 24 წლის ქალის თვითმკვლელობამდე მასზე ძალადობდნენ"




ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდაში გარდაცვლილი 24 წლის ე.ნ-ის ოჯახის ადვოკატი აცხადებს, რომ თვითმკვლელობას წინ უსწრებდა ოჯახში ძალადობის ფაქტები, რაზედაც ყვარლის პოლიცია ინფორმირებული იყო და ვერ შეძლეს მსხვერპლის დაცვა.

24 წლის ქალის ნახევრად შიშველი ცხედარი შილდაში, საკუთარი საცხოვრებელი სახლის სადგომში 18 ოქტომბერს ნახეს. ცხედარი გარდაცვლილი ქალის მეუღლის ძმამ ნახა. ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტის ლია ხუროშვილის განცხადებით, რომელიც გარდაცვლილი ქალის ოჯახის ინტერესებს იცავს, ცხედარს სხეულზე მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებოდა, რაც საფუძვლიან ეჭვს აჩენს, რომ მასზე ძალადობა განხორციელდა.

– დღემდე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა). დანაშაულს წინ უსწრებდა ოჯახში ძალადობის ფაქტები. კერძოდ, 2017 წლის 18 ოქტომბრამდე ოჯახში არსებული კონფლიქტებისა და ძალადობრივი გარემოს შესახებ არაერთხელ იყო ინფორმირებული ყვარლის პოლიციის სამმართველო. ოჯახში ხშირად იძახებდნენ პოლიციას. უფრო მეტიც, 2017 წლის 12 ოქტომბერს, შსს ყვარლის რაიონულ სამმართველოში ე.ნ.-ს შეტყობინების საფუძველზე დაიწყო გამოძიება ოჯახში ძალადობის ფაქტზე, სსკ-ის 126 პრიმა პირველი მუხლის პირველი ნაწილის ნიშნებით. მოპოვებული ინფორმაციით, კონფლიქტი მოხდა ე.ნ.-სა და მის დედამთილს შორის. ადგილი ჰქონდა ფიზიკურ დაპირისპირებას. მოცემულ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება და შემაჯამებელი გადაწყვეტილება დღემდე არ არის მიღებული, – ამბობს გარდაცვლილის ოჯახის ადვოკატი.

მისივე თქმით, მოთხოვნის მიუხედავად, დღემდე ჭიანურდება გარდაცვლილის დედისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება, უზრუნველყოფილი არ არის გამოძიების პროცესში გარდაცვლილის ოჯახის ჩართულობა, გარდაცვლილის დედას და მის ადვოკატს არა აქვთ ინფორმაცია გამოძიების მსვლელობაზე და გატარებულ ღონისძიებებზე.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიმართავს მთავარ პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს, გამოძიება წარიმართოს დროულად და ეფექტიანად; დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი მიენიჭოს გარდაცვლილის დედას და მიეწოდოს მას ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

**რეგინფო.გე**

# საქართველოში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 1.069 ლარია

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, საქართველოში 2017 წლის მე-3 კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 1.069 ლარია.

ყველაზე მაღალი თვიური ხელფასი – 1.999 ლარი სამშენებლო სფეროშია, რომელსაც საფინანსო საქმიანობის სფერო მოსდევს 1.861 ლარით.

საქმიანობის სახეების მიხედვით, სამთომოპოვებით მრეწველობაში საშუალო თვიური ხელფასი 1.337 ლარია; დამამუშავებელ მრეწველობაში – 918 ლარი; ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება, განაწილებაში – 1.224 ლარი; ვაჭრობასა და ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტში – 935 ლარი; სასტუმროებსა და რესტორნებში – 818 ლარი; ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში – 1.229 ლარი; ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევაში – 1.221 ლარი; სახელმწიფო მმართველობაში – 1.296 ლარი; ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების სფეროში – 958 ლარი; კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევაში – 838 ლარი.

ყველაზე მცირე ანაზღაურება განათლების სფეროშია – 565 ლარი; სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში – 742 ლარი; თევზჭერა, მეთევზეობაში – 780 ლარი.

ბოლო სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში ერთსულიანი ოჯახის თვიური საარსებო მინიმუმი 155 ლარია, ოთხსულიანი ოჯახის 311 ლარი, ექვსსულიანი ოჯახის კი 414 ლარი.

**რეგინფო.გე**

## სერხიო რამოსი: „ბარსელონა უნდა დავამარცხოთ"



მადრიდის რეალის ერთ-ერთმა ლიდერმა სერხიო რამოსმა ბარსელონასთან დაპირისპირებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისმა გუნდმა ეს შეხვედრა აუცილებლად უნდა მოიგოს.

რამოსის აზრით, რეალისთვის ეს შეხვედრა სეზონში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია.

– ბარსელონა აუცილებლად უნდა დავამარცხოთ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემპიონობის შანსი თითქმის აღარ გვექნება. ეს მატჩი ყოველთვის განსაკუთრებულია და ვფიქრობ, რომ ამჯერადაც ასე იქნება, – განაცხადა სერხიო რამოსმა.

რეალის და ბარსელონას დაპირისპირება 23 დეკემბერს მადრიდში გაიმართება.

## ტომაშ როსიცკიმ კარიერა დაასრულა



37 წლის ჩეხმა ფეხბურთელმა ტომაშ როსიცკიმ კარიერა დაასრულა. ამის შესახებ როსიცკიმ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

როსიცკი ბოლო 2 წლის მანძილზე პრაღის სპარტას ღირსებას იცავდა, სადაც დაიწყო კიდეც მისი კარიერა.

როსიცკის თქმით, მისი სხეული დატვირთვებს ძველებურად ველარ უძლებს და ამიტომ ის იძულებულია, კარიერა დაასრულოს.

ჩეხი ნახევარმცველი თავის დროზე ისეთ გუნდებში თამაშობდა როგორებიც არიან ლონდონის არსენალი და დორტმუნდის ბორუსია.

არსენალში მან 10 წელიწადი გაატარა და გუნდი 2016 წელს დატოვა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

კულტურა

## ტარიელ სუარის კონცერტი ია ფარულავამ წაიყვანა



გიტარისტმა ტარიელ სუარმა კონსერვატორიაში კონცერტი გამართა და მის წამყვანად ყოფილი მეუღლე, მსახიობი ია ფარულავა მიიწვია. შეთავაზებაზე უარი არ უთქვამს იას და შეკრებილი საზოგადოების წინაშე ყოფილი მეუღლე ღირსეულად წარადგინა.

კონსერვატორიის მცირე დარბაზში შეკრებილი მსმენელისთვის ტარიელ სუარმა სოლო კონცერტი გამართა. მუსიკოსმა თავისი რეპერტუარიდან საუკეთესო ნაწარმოებები შეასრულა და მსმენელის მოწონებაც დაიმსახურა.

ტარიელ სუარის კონცერტს მისი მეგობრები, ახლობლები და გულშემატკივრები ესწრებოდნენ, რომლებმაც მქუხარე აპლოდისმენტებით და „ბრავოს" შეძახილებით დააჯილდოვეს გიტარისტი.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

კალეიდოსკოპი

## კატამ მომუშავე სარეცხ მანქანაში 40 წუთი გაძლო



ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში კატა, სახელად ზერო, შემთხვევით აღმოჩნდა სარეცხ მანქანაში და იქ 40 წუთი 30 გრადუს ტემპერატურაზე დაყენებულ რეცხვის რეჟიმს გაუძლო.

კატა მანქანის დოლურაში იმ დროს აღმოჩნდა, როდესაც მისი კარი სარეცხის ჩასატვირთად გახსნეს. რეცხვის დასრულების შემდეგ ცხოველი 14 წლის იოაკიმმა აღმოაჩინა.

– ის სრულიად სველი იყო, გაწუწული, ჩვეულებრივზე მეტად გამხდარი ჩანდა. მას ორიენტირება უჭირდა და გული ერეოდა, – განაცხადა ბიჭმა.

კატა ვეტერინარულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც წვეთოვანი დაუდგეს. ცხოველი ორი დღის შემდეგ დაუბრუნდა თავის პატრონებს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ასტროპროგნოზი

### 21 დეკემბერი



**ვერძი** – საქმისადმი დიდი ინტერესი წარმატებას მოგიტანთ. იზრდება როგორც სასიცოცხლო, ისე შემოქმედებითი პოტენციალი. **კურო** – ნებისმიერ დაბრკოლებას იოლად გადალახავთ. სიძნელეებს ნუ შეუშინდებით. მიზნის მიღწევაში ხელი არ შეგეშლებათ. **ტყუპები** – ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. ნებისმიერი ფიზიკური დატვირთვა გეკრძალებათ. **კირჩხიბი** – ოჯახის წევრებთან კამათს თავი აარიდეთ. კონფლიქტური დღეა. ეჭვიანობა არას გარგებთ. **ლომი** – შემთხვევითი ნაცნობობა შესაძლოა მომავალში დიდ მეგობრობაში გადაიზარდოს. საყიდლებზე წასასვლელად შესაფერისი დღეა. **ქალწული** – ცოდნის მისაღებად ეს დღე იდეალურია. ნებისმიერ დისკუსიასა და კამათში იმარჯვებთ. **სასწორი** – სურვილები მოთოკეთ. ზომიერება და თავშეკავება დღის დევიზია. **ღრიანკალი** – პასიური დღეა. მოვლენების დაჩქარება არ ივარგებს. სულიერ სრულყოფაზე იფიქრეთ. **მშვილდოსანი** – ნუ იქნებით კატეგორიული, ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. მარტო დიდხანს არ დარჩეთ. **თხის რქა** – თაყვანისმცემლების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. მოვლენებს მეტისმეტად სერიოზულად ნუ აღიქვამთ. **მერწყული** – ყველაზე რთულ ამოცანასაც კი მზარდი სასიცოცხლო პოტენციალის წყალობით თავს იოლად გაართმევთ. მატერიალური მდგომარეობა სტაბილურად მტკიცეა. **თევზები** – შემოსავალ-გასავალი მკაცრად აკონტროლეთ. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული ძველად საქართველოში; 2. პორტატული უპილოტო საფრენი აპარატი; 3. რაიმეს გაგების, შესწავლის სურვილი; 4. ისტორიული სამთავრო აღმოსავლეთ საქართველოში; 5. ფირდოუსის ეპიკური პოემა; 6. კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ფედერაციის კინოპრემია; 11. ნიგერიის დედაქალაქი; 13. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 14. საელჩოების, საკონსულოების თარჯიმნის სახელწოდება აღმოსავლეთის ქვეყნებში; 15. პრეზიდენტის რეზიდენცია რომში; 17. ფრანგი მოქანდაკე; 18. მტკვრის მარცხენა შენაკადი საქართველოში; 19. მკბენარა მწერი.

**თარაზულად:** 7. გერმანული ფარმაცევტული ფირმა; 8. ჯარის სურსათით, ტანსაცმლითა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებით მომმარაგებელი ოფიცერი; 9. მექანიკური მუსიკალური საკრავი; 10. იუმორისტული საგაზეთო პუბლიკაცია; 12. დიდი ზომის სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. ინგლისელი პირატი, შემდგომ ადმირალი; 16. კლარჯეთის მთავარი ქალაქი; 18. ისტორიული ციხე-სიმაგრე აფხაზეთში; 20. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 21. სოფელი წალენჯიხის რაიონში; 22. გამომწვარი ფერადი თიხა კერამიკული ნაკეთობების დასამზადებლად; 23. ნარნარად ფრენა; 24. იტალიელი მხატვარი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. მაჰატმა; 2. სქემა; 3. სათაფლია; 4. წიქარა; 5. სტატორი; 6. ციპრასი; 11. არალი; 13. ინტრიგა; 14. ორიფლეიმი; 15. სტრატეგია; 17. ომლეტი; 18. კატარი; 19. მაქო.

**თარაზულად**: 7. დალაქი; 8. პალიასტომი; 9. ჰამამი; 10. კაშალოტი; 12. ტაქიკარდია; 14. ონიქსი; 16. ბრისტოლი; 18. კლინკერი; 20. მტილი; 21. ეტა; 22. ხერგიანი; 23. არგო; 24. როზარიუმი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ქულბაქი; 2. ბაიადერა; 3. ქინქლა; 4. დიეტა; 5. ციხეგოჯი; 8. კაპილარი; 12. ბორი; 13. საგურამო; 14. ანდაზა; 16. ბულიმია; 18. ჯეზვე; 20. როქი.

**თარაზულად**: 6. ფუკუსიმა; 7. გრინვიჩი; 8. კაიაკი; 9. დანია; 10. ცერცვაძე; 11. მონბლანი; 15. მასტროიანი; 17. პიარნუ; 19. ზვარტნოცი; 21. დარბაზი; 22. კონსტებლი; 23. დიორამა.

# ცირკის მსახიობი გიორგი მაკარიძე შიმშილობას იწყებს



30 წლის ცირკის მსახიობი გიორგი მაკარიძე შიმშილობას იწყებს. როგორც მან „ახალ თაობას“ განუცხადა, ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც მუშაობის ყველანაირი საშუალება მოუსპეს.

**გიორგი მაკარიძე:**

– 6 წელია ცირკის მსახიობი ვარ და ჩემს საქმეს ერთგულად ვემსახურები. ჯამბაზობას და ბავშვების გამხიარულებას რა სჯობია?! ადრე ყველაფერი კარგად იყო, ვმუშაობდი და ჩემი შემოსავლით თავს ვირჩენდი. ახლა, სამწუხაროდ, მომისპეს ყველანაირი საშუალება, ვიმუშაო ჩემი პროფესიით და გავაბედნიერო ბავშვები. ამიტომ 26 დეკემბერს ვიწყებ შიმშილობას.

ღია ცის ქვეშ ვარ დარჩენილი, ვცხოვრობ ცირკის შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარესთან, ბატონ გოჩა ხარატიშვილთან ორხევში, ისიც თუ ცხოვრებაა. იქაური პირობები რომ განახათ... ჩემი თავმოყვარეობა მაქვს, რატომ უნდა ვცხოვრობდე სხვასთან, მომცენ საშუალება მუშაობის და მივხედავ ჩემს თავს.

სამსახურის გარეშე ვარ დარჩენილი, ამიტომ გადავწყვიტე მივმართო უკიდურეს ზომას – შიმშილობას, რომ მივიქციო იმ ადამიანების ყურადღება, ვისაც ამ პრობლემის მოგვარება შეუძლია.

წერილობით მივმართეთ ყველას, ვისთვისაც შეიძლებოდა მიგვემართა – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქით დაწყებული, კულტურის მინისტრით დამთავრებული, მაგრამ არანაირი პასუხი არ მიგვიღია.

არ გვიშვებენ არც სკოლებში, არც ბაღებში, რომ ვიმუშაოთ, ჩავატაროთ ღონისძიებები, ბავშვები გავამხიარულოთ და სასაცილო ფასად – 4 ლარად გაყიდული ბილეთებით არსებობა შევძლოთ. ამასწინათ ერთ-ერთ ბაღში გავმართეთ წარმოდგენა და 70 ლარი ავიღეთ.

ბევრი მიდის უცხოეთში და იქ მუშაობს. ვიცი, რომ კარგ ფულს იხდიან, მაგრამ არ მინდა უცხოეთში წასვლა, ჩემს ქვეყანაში ყოფნა და მუშაობა მინდა. ხომ არ ვითხოვ, მე მხარ-თეძოზე წამოვგორდები და თქვენ ყველანაირი კომფორტი შემიქმენით-მეთქი, მინდა მომცენ საშუალება ვიმუშაო და ჩემი შრომით ვიცხოვრო ჩემს სამშობლოში.

**გოჩა ხარატიშვილი, ცირკის შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე:**

– ყველაფერი მოშლილია და უკიდურეს მდგომარეობაში ვართ. არაფერი გაგვაჩნია, არც შენობა, არც ოფისი, არც დაფინანსება. რამდენიმე მსახიობი შიმშილით გარდაგვეცვალა. ჩვენ თვითონ არაფერი გვაქვს და სხვას როგორ დავეხმაროთ?!

ბევრს ჰგონიათ, რომ ცირკის შენობა ჩვენია და იქ ჩვენი მსახიობები დაფეტიშობენ, რაც არ არის მართალი. ცირკის შენობას ჰყავს თავისი მფლობელი და ჩვენს მსახიობებს იქ მუშაობის საშუალებას არ აძლევენ.

ვითხოვთ შეგვიშვან სკოლებსა და ბაღებში, რომ გავმართოთ წარმოდგენები და ვიმუშაოთ ყველა კანონის დაცვით.

მივმართავ საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, შეგვხვდნენ და მოგვისმინონ.

ყველა არასერიოზულად გვიყურებს, რა დროს ცირკის მოღვაწეთა კავშირია, მთელი ეს ქვეყანა ცირკი არ არისო?! დაგვცინიან! წრეზე გვატრიალებენ – კულტურის სამინისტრო გვიშვებს მერიაში, მერია – განათლების სამინისტროში, განათლების სამინისტრო ისევ კულტურის სამინისტროში და ასე გრძელდება დაუსრულებლად.

## „ნიჭიერს“ ორი ახალი ფინალისტი ჰყავს

სახალხო შოუს „ნიჭიერს“ 2 ახალი ფინალისტი ჰყავს. 8 ნახევარფინალისტიდან მაყურებელმა და ჟიურიმ თავისი რჩეულები დაასახელა.

ქართველმა მაყურებელმა ფინალში უნიჭიერესი ეკვილიბრისტი ისოებ ტლაშაძე, იგივე ბაჯო გადაიყვანა, რომელსაც „ნიჭიერის“ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი, ემოციური და ურთულესი ნომერი ჰქონდა.

ჟიურიმ კი მეორე ფინალისტად ბავშვთა ორკესტრი დაასახელა, რომელიც ნიჭიერთა ათწლედის მოსწავლეებით არის დაკომპლექტებული.

## ნათია თოდუა: „შეურაცხყოფას მოგებით ვუპასუხე“



მას შემდეგ, რაც ნათია თოდუამ გერმანული „ვოისი“ მოიგო, ქართული საზოგადოება სოფო ტოროშელიძეს და გიორგი გაბუნიას აკრიტიკებს. სოფომ ნათიას ქართული იქს ფაქტორის პირველ ტურში არა უთხრა, გიორგი გაბუნიამ კი მომდევნო ტურში ნათიას ნამღერს სასაცილო უწოდა.

ნათია თოდუა გულშემატკივრების მიერ სოფო ტოროშელიძის და გიორგი გაბუნიას ლანძღვას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ მან შეურაცხყოფას შეურაცხყოფით კი არა, მოგებით უპასუხა.

**ნათია თოდუა:**

– ულრმესი მადლობა, რომ მთელი საქართველო ზეიმობთ ჩემთან ერთად!

უბედნიერესი ვარ!

ძალა ერთობაშია! ძალა სიყვარულშია!

ასევე მსურს მოგიწოდოთ, რომ უბრალოდ გავიხაროთ აწმყოთი, რომელიც ძალიან დამეხმარება ნათელ მომავალში, რომელიც მომავალშიც აუცილებლად გაგვახარებს და გაგვაბედნიერებს.

არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრების რაღაც ეტაპზე შემფასებლისგან მიღებულ სუბიექტურ აზრს იჯერებენ და შემდეგ ჩერდებიან.

არიან ადამიანები, რომლებსაც გულის ძახილი არ ასვენებთ და კიდევ მცდელობებს განაგრძობენ.

მე ბედნიერი ვარ, რომ ამის ძალა აღმომაჩნდა, ბედნიერი ვარ, რომ ცხოვრებამ ბავშვობიდან ბრძოლა მასწავლა და გამაძლიერა, როგორც პიროვნება.

ის შეფასება თუნდაც იმიტომ იყო საჭირო, რომ დღეს აქ ვყოფილიყავი, ამიტომ ჩემი თხოვნა იქნება, შევირგოთ აწმყო და ეს წარმატება. არ ჩავუციკლდეთ წარსულს, რომელიც თავად თვლით, რომ შეცდომა იყო...

ნუ გავაზიარებთ იმ ნეგატივს, რაც საბედნიეროდ ჩემს წარსულშია.

ყველა ადამიანს გააჩნია საკუთარი აზრი, ყველა ადამიანია თავისი თავის უფალი.

ვიცი, რომ 2014 წელს გამოუცდელი კონკურსანტის ნათია თოდუას შეფასება გიორგი გაბუნიასგან შეურაცხყოფა უფრო იყო, ვიდრე შეფასება, მაგრამ საბედნიეროდ ამით არ წყდება ყველაფერი.

დღეს მოლოცვებთან ერთად ვხედავ, რომ უმრავლესობა მათ კრიტიკაზე და შეურაცხყოფაზე გადადიხართ, რაც ნამდვილად არ არის საჭირო.

პ.ს მე პირადად არ მსურს შეურაცხყოფას შეურაცხყოფით ვუპასუხო, მე მოგებით ვუპასუხე.

მიყვარხართ!

## არჩილ ჩიხლაძე 84 წლის ასაკში გარდაიცვალა



მომღერალი არჩილ ჩიხლაძე 84 წლის ასაკში გარდაიცვალა. მომღერალი, რომლის სიმღერებსაც მთელი საქართველო მღეროდა, მოხუცთა თავშესაფარში იმყოფებოდა. ბეთლემის ქუჩაზე იგი გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდა, არც გაზი ჰქონდა, არც შუქი და შიმშილობდა. მომღერალი მოხუცთა თავშესაფარში გადაიყვანეს, სადაც 2 წელი იცხოვრა.

მომღერალი არ მალავდა, რომ კვლავ სურდა სცენაზე დგომა და სიმღერა და თავის ოცნებას მოხუცთა თავშესაფარში იკმაყოფილებდა, სადაც იქაური ბენეფიციარებისთვის მღეროდა.

ინფორმაცია არჩილ ჩიხლაძის გარდაცვალების შესახებ მერაბ შათირიშვილმა გაავრცელა:

– გარდაიცვალა გამოჩენილი მომღერალი, ყველასათვის საყვარელი პიროვნება, არჩილ ჩიხლაძე. გარდაიცვალა მომღერალი, რომლის სიმღერებითაც ტკბებოდა და ტკბება ქართული საზოგადოება. გარდაიცვალა ადამიანი, რომლის ღვაწლიც ქართულ მუსიკალურ სამყაროში უკვდავია. იგი გარდაიცვალა მოხუცთა თავშესაფარში ბარბარე XXI, რომლის ერთ-ერთი მასპინძელიც ორი წლის მანძილზე გახლდათ. თავშესაფრის ხელმძღვანელობა უსამძიმრებს და თანაუგრძნობს ამ მწუხარებას მთელ საქართველოს...

არჩილ ჩიხლაძის გარდაცვალებას გამოეხმაურა მომღერალი მალიბუ ტუღუში. მისი თქმით, ის და გიტარისტი ვაკო მეგენეიშვილი იყვნენ ბოლო ადამიანები, ვინც მასთან მივიდა:

– გავიგე, რომ ბატონი არჩილ ჩიხლაძე გარდაიცვალა. მე ვამაყობ და ბედნიერი ვარ, რომ შევძელი მემღერა მისთვის და მიმეღო ნებართვა მისი შემოქმედების მღერის. როგორც გვითხრეს, ბოლო ადამიანები ვიყავით, ვინც მასთან მივიდა. მადლობა ბატონო არჩილ, რომ გზა დაულოცეთ ჩვენს პროექტს მალიბუ & 69. ნათელში იყოს თქვენი სული.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 2. ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ; 3. ბირმის დღევანდელი სახელწოდება; 4. ფულის ერთეული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 5. მონასტერი ქარელის რაიონში; 8. სწორკუთხა, უგუმბათო ქრისტიანული ტაძარი; 12. მდგომარეობა ჭადრაკში; 13. კარსტული მღვიმე იმერეთში; 14. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 16. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 18. ორსართულიანი ლაზური სახლი; 20. მაღალხარისხოვანი, წვრილმარცვლოვანი ყავის ჯიში.

**თარაზულად:** 6. ფართოფარფლებიანი ესპანური ქუდი; 7. ქართული თეატრის ფუძემდებელი; 8. ბერძნული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. მდინარე ლონდონში; 10. დუქნის დახლიდარი; 11. ჩვილი ბავშვის საფენი; 15. გულისცემის აჩქარება; 17. ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა; 19. ხილის წვენების პიურესგან დამზადებული საკონდიტრო ნაწარმი; 21. ამერიკული ჟურნალი; 22. სამხედრო გემის სურსათისა და საყოფაცხოვრებო ნივთებით მომმარაგებელი ოფიცერი; 23. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## სამგლოვიარო განცხადებები

### ანზორ ბაბუხადია

ქართულმა მცირე მეწარმეობამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოში მცირე მეწარმეობის ყველაზე დიდი ქომაგი და მებრძოლი, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, გამორჩეული პატრიოტი და მამულიშვილი ანზორ ბაბუხადია.

მუშაობდა რა მთავრობის მთავარ ეკონომიკურ მრჩევლად, ეკონომიკის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორად, მცირე მეწარმეობის განვითარებისა და მხარდაჭერის ცენტრის დირექტორის მოადგილედ, იყო სისტემატიურ ბრძოლაში მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის.

1998 წელს ჩვენ ერთად დავაარსეთ „თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაცია“ და ოცი წელიწადია ვიბრძვით საქართველოში მცირე მეწარმეობის დამკვიდრებისათვის. ამ პერიოდის განმავლობაში ბევრი თანამებრძოლი გამოგვაკლდა, დღეს კი უდავოდ ლიდერ თანამებრძოლს, ანზორ ბაბუხადიას ვემშვიდობებით მისი საყვარელი პოეტის, თამაზ სანებლიძის სიტყვებით:

„წუთის სოფელი რა ყოფილა, არც არაფერი,
ნელ-ნელა ვიწვი, ვიღვენთები როგორც სანთელი,
ქარო, მადროვე, არ შეწუხდე, ჩემით ჩავქრები,
ჯერ ყოვლად წმიდას სადღეგრძელო დამრჩა სათქმელი“.

ამ სიტყვებით მთავრდება ანზორ ბაბუხადიას ავტორობით სულ ახლახან გამოცემული წიგნი „გზა... ვარდისფერი“.

ვაი, რომ ვერ მოასწრო ყოვლად წმიდის სადღეგრძელოს თქმა.

***საქართველოს თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის სახელით:***

**ანზორ საკანდელიძე, თამაზ ცქიტიშვილი, თამაზ ვაშაკიძე, ვალერი ლომაძე**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

**ხუთშაბათი 21 დეკემბერი**

**შესაძლებელია ცვლილებები**

**არხის ბადეში.** 07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია. "მადაგასკარის პინგვინები" 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "მოამბე" 09.15, 06.40 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00, 03.00 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.15"სპორტის დაფა" 12.40"აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 13.25, 22.15 ტ/სერ. "**სახელმწიფო მდივანი**" 14.30 დოკ/ფ 15.30 დოკ/ფ 16.30 ტ/სერ. "**ველვეტი**" 18.30 დოკ"ფილმი. "გონების თამაშები" 20.00, 05.40 ტ/სერ. "**ელემენტარული**" 21.30 "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 23.15 დოკ/ფ "თოფ-გიარი" 00.15, 04.10 მხ/ფ

06.30, 16.00 სერ. "**ტყუილი**" 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.00 ქრონიკა 10.10, 14.40 სერ. "**ელიფი**" 11.20 სერ. "**ფიცი**" 12.30 იმედის დღე 17.35 სერ. "**ცოდვილი**" 3 სერ. 18.50, 19.03 სერ. "**დარჩი ჩემთან**" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "**დედა**" 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 23.30 სპორტი იმედზე 00.30 მხ/ფ "**დაუბრუნდეს გამომგზავნს**" 02.15 მხ/ფ "**სამოთხის პროექტი**" 04.10 მხ/ფ "**გაქცევა ციხიდან**"

06.00, 18.50 სერ. "**მეორე შანსი**" 07.00, 20.03 სერ. "**დედამთილი**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" 15.30 სერ. "**მზიანი დღეები**" 16.55 სერ. "**მორჩილების სავანე**" 22.00 პროფილი 23.30 გააცინე და მოიგე 00.00, 01.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი 02.00 მხ/ფ

**tv პირველი** 7.55 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00 ქალების ნარატივი 12.00 სერ. "**რამონზე შეყვარებული**" 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება - NEWS 13.40 უცხოეთის ამბები 14.00, 16.00 დღის ამბები 15.00, 22.30 საქმის კურსი 17.50, 0.00, 2.00, მხ/ფ 20.00 პირველები 23.30 სერ. "**დამალული სიმართლე**"

**GDS** 08.00 ან/ფ "ავატარი 2" 09.00 სერ. "**ცისფერი სისხლი 7**" 10.00 სერ. "**ჯაშუში**" 1 სერ. 11.00 მხ/ფ "**ამბოზენ**" 13.00 სერ. "**კრიმინალური აზროვნება 4**" 17.00 სერ. "**სამხედროების ცოლები 6**" 19.00 სერ. "**ჯაშუში**" 2-3 სერ. 21.00 მხ/ფ "**პომპეი**" 23.00 მხ/ფ "**სიზმრებზე მონადირე**" 01.30 მხ/ფ "**ბზარი**" 03.30 მხ/ფ "**დაქირავებული მკვლელები**" 05.50 მხ/ფ "**ტელევიქტორინა**"

**იბერია** 08.00 ანანდა 08.10 მულტფილმი 08.30 სერ. "**ბანდოლერა**" 10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 19.00, 01.20, ახალი ამბები 12.00, 2.00 ბიზნესკოდი 14.30 ექიმის საათი 15.00, 01.30 მოდი გავეყაროთ 16.00, 2.40 ფაბრიკა 18.30 სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" 19.55 მე რომ ვიყო 20.00, 3.40 თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " 21.00 სერ. " **მოთვალთვალე**" 22.00 სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" 23.00 სახალხო კონტროლი 00.00 მხ/ფ "**სისხლიანი ქუჩები**"

06.10 საგალობელი 06.15 ზღვარზე-"ავლაბრით" 06.45 პატერიკი-უეცრად აღძრული სინანულის შესახებ 06.50 აქტუალური თემა "დრო და ურცხვობა" 07.10 სალბუნი "მეანგინეკოლოგია" 07.30 ქართული ალბომი 07.50 სამყაროს შექმნა 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 სიბრძნისმეტყველება 08.30 "განთიადი" 10.10 შარავანდედი-"ვახტანგ გორგასალი, ილია II" 10.40 საღვთისმეტყველო საუბრები 11.30 ეპოქის სახელები 12.05 მხ/ფ "**გლახის ნაამბობი**" 13.30 ან/ფ "ჯუნგლის წიგნი" 15.05 ქართული ან/ფ 15.25 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "პავლე ინგოროყვა" 15.50 კონცერტი 16.55 ქრისტიანული ხელოვნება "ხატმებრძოლეობა და ქრისტიანული ხელოვნება" 17.40 ბავშვები მუზეუმში "კაპიტან გიორგი უნაფქოშვილის მუზეუმი" 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტება 19.20 მხ/ფ "**თემო**" 20.40 ძილი ნებისა "ტომი და ჯერი", "აბა დამაცადე" 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.15 როგორ ყალბდებოდა აფხაზეთის ისტორია III ნაწ. 21.30 ზღვარზე-"ბოლერო" 22.20 ჩვენი საგანძური 22.40 კვირიაკეს სიუჟეტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.40 ივერიის ეკლესია "ეკლესია და ბაგრატიონები" 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.30 დ/ფ "სათავეებთან-კონსტანტინე გამსახურდია" 01.30 კონცერტი

**მაესტრო** 10.00 - 23.00 მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) 10.30 - 3.00 ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

21 დეკემბრისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5473

ევრო — 3.0081

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4055

100 რუსული რუბლი — 4.3471








14 დეკემბრიდან

რომან გვენცაძის

საბედისწერო გასროლა

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

15 დეკემბრიდან

რჩეული ქართული ზღაპრები




ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი




## იუმორი

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, შენ ისეთი ლამაზი, ალერსიანი, ისეთი მეოჯახე მყავხარ!

– დავიღალე, სექსი არ იქნება!

– დაუნახავი ეგოისტი! არც წვნიანი ვარგა, მჟავეა! და უკანალიც გასიებული გაქვს!

●●●

სიდედრთან ხანგრძლივი კამათის შემდეგ, კაცი შვილს მიმართავს:

– შვილო, მიდი და ბებიას ტუჩის საცხი მოუტანე.

– რომელი საცხი?

– „მომენტი“ რომ აწერია.

●●●

ექიმთან მიღებაზე. ავადმყოფი ეკითხება:

– აბა, როგორაა საქმე, ექიმო?

– თქვენი ანალიზის პასუხები მივიღე, არ მომიახლოვდეთ!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ჩემი შეყვარებულის მშობლები გავიცანი.

– მერე?

– საკუთარი შვილივით მიმიღეს.

– მართლა?

– მამამისმა კაი გემრიელად მომცხო!

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, დაბადების დღისთვის საჩუქარი მიყიდე?

– რა თქმა უნდა, ძვირფასო.

– მომეწონება?

– თუ არ მოგეწონება, მე მომეცი, ასეთ ანკესზე დიდი ხანია ვოცნებობდი.

●●●

ბავშვი მამას ეკითხება:

– მამიკო, რაშია განსხვავება ქალებსა და კაცებს შორის?

– აი შეხედე, შვილო, მე 44 ზომა ფეხი მაქვს, დედაშენს კი 37, ფეხებს შორისაა განსხვავება, ფეხებს შორის.

●●●

მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

– გიგი, შენი მშობლებიდან რომელმა გააკეთა შენი საშინაო დავალება?

– არ ვიცი, იმ დროს უკვე მეძინა!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კანადელ ბავშვს ატმის გარდა ყველაფერზე ალერგია აქვს



კანადაში ცხოვრობს ბავშვი, რომელიც მხოლოდ ახალი ატმებით იკვებება. მასმედიის ყურადღების ცენტრში ბავშვი მას შემდეგ აღმოჩნდა, როდესაც ცნობილი გახდა, რომ მისი მკურნალობისთვის თანხების შეგროვება მიმდინარეობდა.

მიკა მესონ ლოპესი, რომელიც ორი წლის უნდა გახდეს, დაბადებიდანვე უიშვიათესი დაავადებისგან იტანჯება. დედამისი აცხადებს, რომ მისი შვილისთვის უცნობია, თუ როგორია ტკივილის გარეშე ცხოვრება. მას აქვს მძიმე ფორმის ალერგია. ის ალერგიულია პრაქტიკულად ყველა საკვები პროდუქტის მიმართ, გარდა ატმისა.



ამასთან, როგორც ბავშვის დედამ განაცხადა, მისი შვილისთვის მიუღებელია გაყინული, გამომშრალი ან დაკონსერვებული ატმები, ვინაიდან მათში საკვები დანამატებია. მშობლები ფერმერებისგან, რომლებსაც ხილი პესტიციდების გარეშე მოჰყავთ, ატამს ყუთებით ყიდულობენ. ამაში მათ დიდი ფული ეხარჯებათ, იმის მიუხედავად, რომ ბავშვი დღეში მხოლოდ ერთხელ ჭამს. ზამთარში ახალი ატამის შოვნა ძალიან ძნელია. ბოლო დროს ბავშვი კურდღლის ხორცის ჭამასაც მიეჩვია, თუმცა მხოლოდ ერთ ჩაის კოვზს იღებს დღეში.

დედის თქმით, ყოველ თვე, ბავშვს ცხრამდე ექიმს აჩვენებენ. 2018 წლის ოქტომბრამდე სახელმწიფო მათ სპეციალურ ჰიპოალერგიულ საკვებს აძლევს. შემდეგ კი ბავშვს იმის დამტკიცება მოუწევს, რომ მას ისევ ალერგია აქვს რძის პროდუქტებზე.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ავტო ლომბარდი

ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით

ავტო ლომბარდი

მაქსიმალური თანხა:

40,000₾

გაიგეთ მეტი:

LibertyBank.ge/AutoLombard

032 255 55 00

